ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ. „ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲡ“ ᲔᲠᲗᲘ

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

№20 (1661) 7 — 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 2023 ᲬᲚᲘ

1 ᲚᲐᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

www.versia.ge

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲖᲔᲐ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲓᲐᲐᲦᲬᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔᲡ!“

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲔᲑᲘ

„ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ „ᲠᲣᲑᲘᲜᲡ“ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲡᲪᲓᲔᲑᲘ, „ᲜᲐᲞᲝᲚᲨᲘ“ ᲙᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ“

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ – ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲡᲕᲘᲛᲝᲜ ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

125 ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ
SECURITY POLICE

ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲡᲐᲪᲝᲚᲔᲛ ᲛᲝᲬᲐᲛᲚᲐ

ᲬᲧᲜᲔᲗᲘᲡ ᲢᲧᲘᲡ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ

ᲠᲐᲢᲝᲛᲐᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ „ᲓᲐᲑᲝᲚᲛᲘᲚᲘ“ ᲓᲐ ᲘᲖᲝᲛᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘ

„ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲫᲣᲚᲮᲐᲠᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲐᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲕᲜᲐᲢᲠᲝᲑ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲗ!“

საქართველოს პარლამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იარაღის ბრუნვის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით მომზადებული კანონპროექტები დაამტკიცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტი და სხვა თანმდევი საკანონმდებლო აქტების ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა. საკანონმდებლო პაკეტი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარადგინა.

საკანონმდებლო ცვლილებების მიზანს იარაღის არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევების შემცირება და პრევენცია წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, აღნიშნული კანონპროექტით დაინტერესებულ პირებთან არაერთი შეხვედრა და კონსულტაცია გაიმართა, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის უშუალო ჩართულობით შინაგან საქმეთა სამინისტროში სამუშაო შეხვედრა შედგა. კანონპროექტით დაინტერესებული პირების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით კანონპროექტი გადამუშავდა და გადამუშავებული რედაქცია წარედგინდა საქართველოს პარლამენტს.

მიღებული ცვლილების ძირითად სიახლეებს წარმოადგენს: იარაღის სახეებად დაყოფის კრიტერიუმად განისაზღვრება იარაღის საერთო სიგრძე, შესაბამისად, იარაღები სიგრძის მიხედვით დაიყოფა მოკლე და გრძელ იარაღებად. მოკლე იარაღად მიჩნეულია პისტოლეტი, რევოლვერი ან იარაღი, რომლის საერთო სიგრძე 55 სმ-ს არ აღემატება. კანონის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში, სანადირო ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის მესაკუთრე ვალდებული იქნება ბალისტიკური შემოწმების მიზნით მომსახურების სააგენტოში წარადგინოს აღნიშნული იარაღი. ამასთან, კანონით ეს პირები გათავისუფლდებიან ბალისტიკური შემოწმების საფასურის გადახდისგან და შესაბამისი გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან. თუ ბალისტიკური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იარაღი მოკლეა, იგი მოექცევა თავდაცვის კატეგორიაში და მისი ხელახალი რეგისტრაცია მოხდება მხოლოდ შენახვის უფლებით, ხოლო თუ დადგინდა, რომ იარაღი გრძელია, პირს კვლავ ექნება მისი ტარების უფლება. ხელახალი რეგისტრაციის ვალდებულების განუხორციელებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. იარაღის ბრუნვის კონტროლის გაძლიერების მიზნით, პოლიციელს ენიჭება უფლება რეგისტრირებული იარაღების არსებობა შეამოწმოს პირის საცხოვრებელ ადგილზე, მისივე თანხმობით, თუმცა არაუმეტეს წელიწადში ოთხჯერ. ხოლო, თუ პირი არაა თანახმა იარაღების მის საცხოვრებელში შემოწმებაზე, აღნიშნულის შესახებ დგება ოქმი და პირი ვალდებული იქნება პოლიციელის მიერ მოთხოვნილი იარაღი, მოთხოვნიდან შვიდი დღის ვადაში, თვითონ წარადგინოს პოლიციაში.

ცვლილებები შეეხება ასევე სპორტულ იარაღებს. ფიზიკურ პირს უფლება ექნება მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული იარაღის დროებითი მოწმობის საფუძველზე სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების, შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებისა და შეკეთების მიზნით გადაიტანოს სპორტული მოკლე ცეცხლსასროლი იარაღი და სპორტული მოკლე პნევმატური იარაღი.

იზრდება სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული ეროვნული სპორტული ორგანიზაციის (რომლის ერთ-ერთი მიმართულებაც სროლის სახეობაა) უფლებამოსილებები. კერძოდ, ისინი შეძლებენ სანადირო და სპორტული ცეცხლსასროლი იარაღების, სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების, აგრეთვე ამ იარაღების ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის/ჭურვის შეძენას, ნებართვის საფუძველზე მათ საქართველოში შემოტანას ან/და საქართველოდან დროებით გატანას, ასევე სპორტული იარაღის გადატანას შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებისა და სპორტულ სროლაში საკვალიფიკაციო ნორმატივების შესრულების მიზნით. ცვლილების შედეგად, ყველა შესაბამის იურიდიულ პირს (სამონადირეო მეურნეობას,ტირს, სასროლეთს, სასროლო-სანადირო სტენდს, სროლის სახეობათა ეროვნულ ფედერაციასა და შესაბამის სპორტულ ორგანიზაციას) ექნება შეძენილი იარაღის რეგისტრაციის ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ მიღებული კანონით რეგისტრირებული იარაღის მესაკუთრეს მიენიჭება უფლება, ყოველგვარი ნებართვისა და დროებითი მოწმობის გარეშე გადაიტანოს ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის 300 ვაზნამდე (ნაცვლად 50 ვაზნისა). დამატებით, დასაშვები გახდა ლიცენზიის გარეშე სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნის პირადი მოხმარების მიზნით გადამუხტვა. ახალი რეგულაციების თანახმად, პირი შეძლებს მასზე რეგისტრირებული იარაღისთვის ვარგისი ვაზნის გადამუხტვას, თუ იგი არანაკლებ ხუთი წლის მანძილზე ფლობს ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის ნებართვას. ამასთან, პირი ვალდებულია საქმიანობის შესახებ შეატყობინოს შსს-ს და ასევე საბრძოლო მასალის დამზადებისას დაიცვას უსაფრთხოების წესები. პირადი მოხმარების მიზნით გადამუხტული ვაზნის გასაღება (გარდა გლუვლულიანი სანადირო იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნისა) გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გარდა ამისა, იარაღის ბრუნვის კონტროლის ეფექტიანობის მიზნით, განისაზღვრა იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ახალი სამართალდარღვევები. კერძოდ, სამართალდარღვევად განისაზღვრება ცეცხლსასროლი იარაღის დაკარგვა, დაკარგვის შეუტყობინებლობა, პოლიციელის მოთხოვნის შემთხვევაში სამოქალაქო იარაღის წარდგენაზე უარი; სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის (თოფის) და გაზის (აირის) იარაღის ბრუნვის წესების დარღვევა (უნებართვო შეძენა, შენახვა, ტარება, გადატანა-გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება). აგრეთვე, გამკაცრდა პნევმატური იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის დაწესებული სახდელები. შემოდის სახდელის ახალი სახე – იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა, რაც იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის ან/და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების საქართველოში შემოტანის ან/და საქართველოდან გატანის, იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნის უფლების ხუთ წლამდე ვადით შეზღუდვას გულისხმობს. აღნიშნული სახდელის დადების შემთხვევაში პირს გაუუქმდება ყველა ლიცენზია და ნებართვა და მიეცემა შესაძლებლობა მოახდინოს იარაღის სხვა პირზე რეგისტრაცია.

იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა სახდელად შესაძლოა განისაზღვროს სამართალდარღვევის მესამედ ჩადენის შემთხვევაში, ისეთ სამართალდარღვევებზე, როგორებიცაა ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა საამისოდ გამოუყოფელ ადგილას; იარაღის ტარების, გადატანის, გადაზიდვის წესის დარღვევა; პნევმატურ იარაღთან დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება და სხვა.

კანონი 2023 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდება.

შს მინისტრის მოადგილემ მონაწილეობა მიიღო პროექტის – „ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“, მმართველთა კომიტეტის მეოთხე შეხვედრაში

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“, მმართველთა კომიტეტის მეოთხე შეხვედრაში. პროექტი „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE)“ ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება.

შეხვედრის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორი უწყებების მიერ, პროექტის ფარგლებში გაწეული ტექნიკური დახმარება და მიღწეული შედეგები განიხილეს.

მონაწილეებს სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროგრამების ხელმძღვანელის მოადგილე კატალინ გერმანმა, და UNOPS-ის წარმომადგენელმა.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გადმოცემული სხვადასხვა სახის აღჭურვილობა მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქართველ სამართალდამცავთა შესაძლებლობებს ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორებიცაა: კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება, საზღვრის ინტეგრირებული მართვა, საგზაო უსაფრთოხება და სხვა.

ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა ევროკავშირსა და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისს (UNOPS) გადმოცემული აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფისთვის.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელებისთვის მზაობა გამოთქვეს.

აღნიშნულ პროექტს გაეროს პროექტების მომსახურების ოფისი (UNOPS) 2020 წლიდან ახორციელებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით. პროექტის მიზანია, ქვეყნის უსაფრთხოების სექტორში ჩართული სახელმწიფო უწყებების ეფექტიანი და ანგარიშვალდებული მმართველობის ხელშეწყობა, როგორც თანამედროვე აღჭურვილობის, მაღალ-ტექნოლოგიური პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის მიწოდებით, ისე საგანგებო და კატასტროფებზე რეაგირების ორგანოების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებით.

რატომაა ქვეყანა „დაბოღმილი“ და იზომება თუ არა პატრიოტიზმი

ნინო დოლიძე

მთელი ქვეყანა „დაბოღმილია“! - ეს შეფასება, შესაძლოა, ზოგს არ მოეწონოს, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ აგრესია პიკს აღწევს. არადა, წესით, ყველაფერი სხვანაირად უნდა იყოს, რადგან საქართველოში ყველაზე გავლენიანი ინსტიტუცია ეკლესიაა ანუ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თავს მორწმუნედ მიიჩნევს და, რომ ჰკითხოთ, ათ მცნებასაც იცავს. სინამდვილეში?

სინამდვილეში კი სახეზეა ფსევდო და მოჩვენებითი მართლმადიდებლობა, რასაც, სხვათა შორის, სასულიერო პირების ნაწილიც არ უარყოფს.

„მე არ მძულხართ თქვენ, არც თქვენ სიკვდილს ვნატრობ, უბრალოდ, მინდა, გადარჩეთ!“

იზომება თუ არა პატრიოტიზმი

ზოგადად, აგრესიას ეროვნება არ აქვს და, ალბათ, ადამიანის ბუნებაა, მაგრამ რა ჯანდაბა გვეტაკა ქართველებს, რატომ ვართ ერთმანეთზე დაგეშილები? - ეს, ერთი შეხედვით, რიტორიკული კითხვაა, თუმცა ფსიქოლოგები, რომლებიც პოლიტიკის მიმართულებით მუშაობენ, ამბობენ, რომ ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, შავ-ბნელი 90-იანი წლების გამოძახილია.

დიახ, ჩვენს ანუ ე.წ. მამებისა და უფროსების თაობაში, 90-იანი წლები მძიმედაა დალექილი, რასაც ვერ ვაცნობიერებთ.

ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „მამათა და შვილთა ბრძოლა“ ახალი არაა. ქართული „ვიკიპედიის“ თანახმად, ეს ბრძოლა სათავეს 1860-იანი წლებიდან იღებს. თავდაპირველად მამები და შვილები ერთმანეთს ლიტერატურული ნორმების გამო დაუპირისპირდნენ, თუმცა მოგვიანებით, ლიტერატურული პაექრობა იდეურში გადაიზარდა და ორი საუკუნეა, მამებისა და შვილების ბრძოლა აღარ სრულდება.

დღესაც, პრაქტიკულად, ამის მომსწრენი ვართ ანუ უფროსებს არ მოსწონთ ფერადი ახალგაზრდები და წუხან, რომ თუ გოგო-ბიჭები განსხვავებულ სასმისებსა და ხაშლამა-ჩაქაფულზე უარს იტყვიან, ამით ერი გადაგვარდება. არადა, ყველაფერი უფრო მარტივადაა - სამშობლოს სიყვარული არც ყანწებით იზომება და არც - ღიპითა თუ ფერადი ტანსაცმლით!

იმაში გასაკვირი, რომ ფერადი გოგო-ბიჭები, მაგალითად, ხორუმს არ ცეკვავენ, არაფერია - მამების თაობას რატომ დაავიწყდა, რომ ამ ასაკში თვითონაც, მაგალითად, „ტვისტის“ ცეკვა ერჩია „მთიულურს“?

ისე, საჭირო თუ გახდება, ეს ბავშვები მწყრალად არც ქართულ ფოლკლორთან იქნებიან და ამის ნათელი დადასტურება თუნდაც ის გახლავთ, რომ „სუხიშვილების“ კონცერტებზე ტევა არ არის ხოლმე, თუმცა ძველგაზრდებს არც ეს მოსწონთ და გაიძახიან, „სუხიშვილებმა“ ქართული ცეკვა მოკლესო.

რატომ არ გვაქვს, ან ვინ უნდა შექმნას ერის გამაერთიანებელი იდეოლოგია? - ეს კითხვა კი არა, დილემაა, დილემა, რომელიც ლამის სამი ათეული წელია, ვერ გადაგვილახავს.

ამასობაში კი, ერი გათითოკაცდა და დაიბოღმა. ბოღმიანებს უკეთესი მომავალი არსად და არასოდეს შეუქმნიათ!

თუ წესიერ, ნორმალურ და ძლიერ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება, ერთმანეთი ისეთები უნდა მივიღოთ, როგორებიც ვართ!

ბოლოს და ბოლოს, რატომ ვივიწყებთ, რომ ღმერთი სიყვარულია?!

ჰოდა, თუ უფლის გზით გვინდა სიარული, ხელს რა გვიშლის, რომ მოყვასი, რომელიც ჩვენნაირად არ აზროვნებს, რომელსაც ჩვენნაირად არ აცვია და თავისებურად უყვარს, შევიყვაროთ?

ფერადი გოგო-ბიჭები კი არა, ალბათ, ისინი უფრო საშიშები არიან, რომლებიც უფლით სახელით ძალადობენ!

ასეთები, სამწუხაროდ, ხშირად გვინახავს. მაგალითისთვის, 2013 წლის 17 მაისი გავიხსენოთ, როცა „ტაბურეტკიანი მამაო“ განსხვავებული შეხედულებების ახალგაზრდებს ლამის მოსაკლავად დასდევდა.

17 მაისის სინდრომი

ზოგადად, 17 მაისი, შესაძლოა, თანამედროვე ქართული პოლიტიკის ერთგვარ წყალგამყოფად მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, 2013 წლის 17 მაისის მოვლენების შემდეგ, ამ თარიღმა რაღაცნაირად, საკრალური მნიშვნელობა შეიძინა. შესაბამისად, ორივე მხარე, ესე იგი, ულტრანაციონალები და ულტრალიბერალებიც ყოველი წლის 17 მაისს ცდილობენ, ამ დღეს ერთმანეთს არათუ საკუთარი ძალა დაანახონ, არამედ, საკუთარი უპირატესობაც დაუმტკიცონ.

ადამიანებს რომ მოკლე მეხსიერება გვაქვს, ცხადზე ცხადია, მაგრამ ის მაინც უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ მორალისტობას თავი დავანებოთ და ერთმანეთს აღარც ქვეყნის სიყვარული ავუწონ-გავუზომოთ. თან, ეს აწონ-გაზომვა ძალიან უსაგნოა, თუნდაც იმ ფონზე, როცა მაგალითად, თბილისიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში, ოკუპანტის ჯარ დგას, ცალკეული კერძო კომპანიები კი ჩვენს ეროვნულ საგანძურს ანადგურებენ. სამწუხაროდ, არც ერთ მხარეს აზრად არ მოსვლია, რომ მაგალითად, სოფელ ტანძიაში ჩასულიყო და იქ არსებულ პრობლემებს სიღრმისეულად გასცნობოდა. ამიტომაც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახეზეა ფარისევლური ზრუნვა ქვეყანაზე.

ამასთან, ისიც ხაზგასასმელია, რომ წამალდამოკიდებულება თავისუფლება არ არის და არც დასავლური თავისუფლება ნიშნავს აღვირახსნილობას. იგივე ევროპასა და აშშ-ში, ოჯახი წმინდათაწმინდაა და ამ კულტს აუგად არავინ მოიხსენებს.

ჩვენთან კი რა ხდება? ვიღაცებს ისე გამოჰყავთ, რომ თითქოს დასავლეთი ჩვენს ტრადიციებს ებრძვის. ეს უფრო რუსულ ნარატივს ჰგავს, ვიდრე - რეალობას!

სიმართლე თუ გვინდა, რეალობა ისაა, რასაც სოციალური ქსელის მომხმარებელი, ვინმე „კეთილი ჯადოქარი“ თავის სტატუსში აღწერს:

„მე მახსოვს თქვენი „კასტეტებით“ სიარული, ჯინსის უკანა ჯიბეში მოთავსებული დანა, სახელოში შემალული „სპიცი“. მახსოვს სადარბაზოში დამალული „აბრეზი“, მახსოვს თქვენი „შეკეთებული“ სიგარეტი და „კრუგში“ მოწეული „პლანი“. მე მახსოვს, თქვენი ავტორიტეტი „კულინარიელები“, „ვეძისელების“ გაზრდილები რომ ხართ, მახსოვს.

მე მახსოვს „პერედოზით“ მკვდარი თქვენი მეგობრები, მახსოვს „ჩადების“ მსხვერპლი თქვენი მეგობრები, მახსოვს თქვენი „ტრუსიკის ძმაკაცები“, „მომავლები“ რომ იყვნენ და დღეს აღარ არიან ცოცხლები.

მე მახსოვს მინდორში მოკრეფილი „ტრუხა“, მახსოვს ჩემი მაცივრიდან გამქრალი „სგუშონი“ და სარდაფში მოხარშული „მანაგუა“.

მე მახსოვს, როგორ იშორებდით სხეულიდან არარსებულ მატლებს, მე მახსოვს, როგორ ტიროდით, რადგან ნიანგი ფეხებს გიღრღნიდათ, მე მახსოვს სუფრის კოვზში მოხარშული წამალი, მე მახსოვს ბავშვის (!!!) ტანსაცმელში (რომელიც მას ეცვა) დამალული შპრიცი.

მე მახსოვს რაღაც თეთრი წამლის ზოლები, რომელსაც დახვეული ქაღალდით სუნთქავდით.

მე მახსოვს, რომ ერთმანეთი დაჭერით და გაიმეტეთ.

მე მახსოვს, როგორ გძულდათ ეს ქვეყანა, როგორ გარბოდით და გადეპორტებდნენ. მე მახსოვს, თქვენი ღმერთი „ქურდებს“ სწყალობდა.

ძალიან არ აატყლაშუნოთ ფრთები, ეგ თქვენი წარსულია, ჩემი - არა.

მე მთელი ცხოვრება წიგნის სათვალიანი ჭია ვიყავი და ისეთი „ჩმორი“, რომ ზუსტად იცოდით, მაშინ ამაზე ხმასაც ვერ ამოვიღებდი.

გიცნობთ და მახსოვხართ. სხვებსაც ახსოვხართ.

მე არ მძულხართ თქვენ, არც თქვენ სიკვდილს ვნატრობ, უბრალოდ, მინდა, გადარჩეთ!“

„იმიტომ გვინდა ევროპა, რომ რუსეთში „რუბინს“ ვერ გასცდები, „ნაპოლში“ კი მსოფლიოს მეფე იქნები“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12-პუნქტიანი გეგმა გადასცა, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნა ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრის დეპოლარიზაციაა, ამ საკითხზე საუბარი აქტუალურია... ერთი პერიოდი პრეზიდენტმა ზურაბიშვილმაც კი სცადა, საკუთარ თავზე აეღო „გამაერთიანებლის როლი“, მაგრამ როგორც ჩანს, უშედეგოდ... ამას წინათ, საპყრობილეში მყოფმა ნიკა გვარამიამ წერილიც გაავრცელა, სადაც საზოგადოებას ყველაფრის „სუფთა ფურცლიდან“ დაწყებისკენ მოუწოდა, თუმცა ყველაფერ ამის ნიშანწყალი ქვეყანაში ჯერჯერობით არ იგრძნობა.

საქართველოს ისტორიაში როდის ყოფილა, ან საერთოდ მომხდარა თუ არა ისეთი ფაქტი, როცა პოლიტიკურად დაპირისპირებულ მხარეებს საკუთარი ინტერესები გვერდზე გადაუდიათ და ზესახელმწიფოებრივ თემაზე შეთანხმებულან? – „ვერსია“ ისტორიკოს სვიმონ მასხარაშვილს ესაუბრა.

რატომ ვერ ახერხებენ ქართველი პოლიტიკოსები სახელმწიფოებრივ საკითხებზე შეთანხმებას – ინტერვიუ სვიმონ მასხარაშვილთან

– ბატონო სვიმონ, საქართველოს ისტორიაში, პოლიტიკურად დაპირისპირებულ მხარეებს წყენა, ურთიერთქიშპი ოდესმე გვერდზე გადაუდიათ და ზესახელმწიფოებრივ საკითხზე შეთანხმებულან ანუ დაუწყიათ ცხოვრება „სუფთა ფურცლიდან“?

– 975 წელს, დასავლეთ საქართველოს ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი, იოანე მარუშისძე და ტაოს მეფე, ქართულ სამყაროში ყველაზე ავტორიტეტული პიროვნება, დავით კურაპალატი შეხვდნენ ერთმანეთს, გადაწყვიტეს, პირადი ამბიციები გადაედოთ გვერდზე... იოანე მარუშისძეს უდიდესი პერსპექტივა ჰქონდა, რომ აფხაზთა მეფის ტახტი დაეკავებინა, დავით კურაპალატი კი მხოლოდ კავკასიის კი არა, ბიზანტიის მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი პოლიტიკოსი იყო და უამრავ რამეზე შეიძლებოდა პრეტენზია ჰქონოდა, მაგრამ შეთანხმდნენ, რომ ყოველნაირი პირადი ინტერესი გვერდზე გადაედოთ და გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ტახტისთვის გზა გაეხსნათ მცირეწლოვანი, 15 წლის ბაგრატ ბაგრატიონისთვის, რადგანაც მათთვის მთავარი იყო საქართველოს ერთიანობა, ყოველგვარ პოლიტიკურ, პერსონალურ ინტერესებსა და ამბიციებთან შედარებით...

და ასეც მოხდა – 978 წელს ბაგრატი, მათი ხელშეწყობით, ჯერ აფხაზთა მეფე ხდება, 1108 წლისთვის კი უკვე აფხაზთა და ქართველთა, ხოლო სიცოცხლეს სრულიად საქართველოს მეფედ ამთავრებს – საქართველო ერთიანდება.

ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, შეთანხმდნენ ყველაფერზე... მთავარი ის იყო, რომ საქართველო ყოფილიყო ერთიანი და სამომავლოდ, მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფო. შეთანხმება იმაზე კი არ უნდა მოხდეს, ვის ან რას მიეკედლო, არამედ იმაზე, რომ უპირველეს ყოვლისა, საქართველო იყოს პირველი მსოფლიოში – ამაზე მოხდა შეთანხმება 975 წელს.

მეორე ასეთი შეთანხმება მოხდა 1189 წელს, აღდგომის წინა დღეებში, როდესაც ახალგაზრდა გიორგი მეორე გადადგება და როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში მოღვაწე დიდ ქართველებთან ერთად შეთანხმდებიან, რომ ტახტზე აიყვანონ ჭაბუკი მეფე – დავითი... დიახაც, ყველამ კარგად ვიცით, რომ დავითის მოღვაწეობის ბოლოს, საქართველო მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ გარდაიქმნა.

სამწუხაროდ, არ მახსენდება აღარცერთი შემთხვევა 1189 წლის შემდეგ, რომ საქართველოს დიდი მოღვაწეები, პოლიტიკოსები, საზოგადოება შეთანხმებულიყვნენ საქართველოს ბედ-იღბალსა და მომავალზე, რომ ასეთი შეთანხმების მონაწილე ყოფილიყო ყველა.

მართალია, ჩვენი დამოუკიდებლობა ოფიციალურად 1991 წელს გამოვაცხადეთ და იმავე წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირი დაიშალა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. შემდგომში გავაკეთეთ არაერთი არჩევანი – იყო დსთ-ში შესვლა-გამოსვლა; რუსეთთან ომი; სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირისკენ და ამაზე პლებისციტიც ჩატარდა, მაგრამ ისეთი შეთანხმება ვერ იმუშავებს, რომელიც მხოლოდ საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებზეა გათვლილი, რადგანაც მსოფლიო იცვლება – დღეს რომ შენი პარტნიორია რომელიღაც ქვეყანა, ხვალ შეიძლება, მტრად გექცეს და პირიქით. თუ ერი შეთანხმდება, რომ ჩვენი მეგობარი იყოს, ვთქვათ, ინდონეზია, ეს არაფრის მომტანი იქნება იმიტომ, რომ ინდონეზიასთან ერთად გაქრება ამ შეთანხმების არსი. შეთანხმება უნდა იყოს იმაზე, თუ როგორი სახელმწიფოს გაკეთება გინდა; რა პერსონალურ ინტერესზე ამბობ უარს ამ სახელმწიფოსთვის და რის მიღწევას აპირებ ამ სახელმწიფოთი; რა გავლენის, სახელის, სიმდიდრის, ცხოვრების დონის მიღწევა გინდა – ამაზე უნდა მოხდეს შეთანხმება, რაც არ ხდება. ეს, სხვათა შორის, პლებისციტით ვერ მოხდება.

უნდა დაჯდეს ერის წარმმართველი ძალა, ელიტა და მისი წევრები უნდა შეთანხმდნენ, მაგრამ საქართველოს ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ამ 30-წლიანი პერიოდის შედეგად, ელიტა არ ჰყავს ანუ პოლიტიკური პარტიების ლიდერების 99% ჩემთვის ელიტასა და ავტორიტეტს არ წარმოადგენენ. შეიძლება, ისინი ჩემი ამხანაგები, მეგობრები იყვნენ, მაგრამ ჩემთვის, დღეს, საქართველოში პოლიტიკური ავტორიტეტი, უბრალოდ, არ არსებობს. ერს უნდა ჰყავდეს ავტორიტეტები და ისინი უნდა თანხმდებოდნენ ანუ თანამდებობაზე ყოფნის შედეგად კი არ ხდებიან ადამიანები ავტორიტეტები, მათ უნდა ჰქონდეთ ავტორიტეტი, პატივისცემა და მათ სიტყვას გავლენა ჰქონდეს... დღეს, პირადად ჩემთვის, ქართველთა შორის პოლიტიკაში ავტორიტეტი არ არსებობს, შესაბამისად, მე-10 და მე-11 საუკუნის დიდი ეროვნული შეთანხმების ანალოგის განმეორების პერსპექტივას ამ წუთას ვერ ვხედავ. ვისურვებდი და ვინატრებდი, რომ თუნდაც წელსვე ასეთი რამ გამოჩენილიყო.

– უახლეს წარსულში ასეთი პოლიტიკური ავტორიტეტი ჰქონდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას...

– ერთიც გარდაცვლილია და მეორეც, წარსულს მნიშვნელობა არ აქვს...

– მას შემდეგ, მსგავსი ტიპის ლიდერები რატომ არ გამოჩნდნენ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში? თქვენი ანალიზით, ასეთ ლიდერებს რა წარმოშობს?

– არაფერი. ლიდერი თავის თავს წარმოშობს, ძალაუფლებას ინარჩუნებს... ლიდერი არის ის, ვისაც რეალური ძალაუფლება, გავლენა აქვს და ელიტა ისაა, ვინც ღირებულებებს ქმნის და ამკვიდრებს.... ფაქტი ისაა, რომ შეთანხმება ვერ მოხდა, სამწუხაროდ, სრულიად საქართველოს შეთანხმება ვერ მოხდა. რა შუაშია, ვიღაცას რომ ავტორიტეტი ჰქონდა 30 წლის წინ, ის ვიღაცისთვის იყო ავტორიტეტი, მეორესთვის – არ იყო... ვერ მოხდა მაშინ გაერთიანება, ამიტომ ამაზე ლაპარაკიც უკვე ზედმეტია, აზრი არ აქვს საუბარს.

ჩვენს საზოგადოებაში განხეთქილების ერთ-ერთი საფუძველი უახლეს წარსულში ქექვა და ერთმანეთისთვის „შე ასეთო, შე ისეთო“-ს ძახილია; ერთმანეთის დადანაშაულება; ერთმანეთის მინუსების ძებნა... ამას აზრი არ აქვს, გარდა იმისა, რომ ნეგატივში გვაბრუნებს და მეტი არაფერი...

– მიიჩნევთ თუ არა, რომ საქართველოს ასეთ ვითარებაში რუსეთის ფარული ხელი ურევია?

– ამაზე მარტივად გიპასუხებთ – საქართველოს ერთიანობას თავის დროზე ძალიან ეწინააღმდეგებოდა ბიზანტია, რომელიც გაცილებით ძლიერი ქვეყანა იყო იმ პერიოდში, ვიდრე თანამედროვე მსოფლიოში რუსეთია. ბიზანტია იმ პერიოდში იყო ის, რაც დღეს არის აშშ. ასეთი ქვეყანა ეწინააღმდეგებოდა ყველა რესურსის გამოყენებით, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და იცით, რატომ? – იმიტომ, რომ ქართველ ერს ჰყავდა ღირსეული შვილები: გიორგი მთაწმინდელები, გრიგოლ ხანძთელები, იოანე მარუშისძეები, დავით კურაპალატები და მათ გარდა, კიდევ ასეულობით ღირსეული, მართლა პატივისცემის ღირსი წინამძღოლი... მაშინ ერიც ამ ხალხს მიჰყვებოდა, სჯეროდა მათი და სწორედ ამის შედეგი იყო, რომ უცხო ძალა გავლენას ვერ ახდენდა. შენზე თუ უცხო ძალა გავლენას ახდენს, ესე იგი, იმის ღირსი ხარ, რა მდგომარეობაშიც იმყოფები!

ახლა, მაგალითად, ლოზუნგად რომ აყენებენ „შევთანხმდეთ, რომ ევროპა გვიხსნის“-ო, ევროპა კი არა, შენი მარჯვენა გიხსნის; გიხსნის ხვიჩა კვარაცხელიასნაირი ბიჭები; გიხსნის ის, ვინც თავისით აკეთებს და იმარჯვებს; პროფესიონალიზმი და თვითშეგნება გვიხსნის და არა – რაღაც, ვიღაცისგან ნასესხები ძალა; გვიხსნის ღმერთი და საკუთარი თავი.

ასე რომ, თქვენ კითხვაზე ასე გპასუხობთ – თუ რომელიღაც ქვეყანა გიშლის ხელს და ის მიზანს აღწევს, ესე იგი, შენ სუსტი ხარ, უნდა დაფიქრდე, რომ არ დგახარ სწორ გზაზე და უნდა იზრუნო, რომ ვეღარ მოახდინოს შენზე გავლენა.

– როცა ამბობთ, რომ პოლიტიკური ელიტა დღეს არ არსებობს, მართლაც, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ნდობა პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ... ოპოზიციის რეიტინგი დაბალ ნიშნულზეა და ამ პრობლემას თავად ოპოზიციონერებიც აღიარებენ. რომელი პერიოდი გახსენდებათ ასეთი, როცა ხელისუფლების მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალა ასე სუსტი იყო და რა განაპირობებს ხოლმე ასეთ ვითარებას?

– პირდაპირ გეტყვით, ასეთი მდარე პოლიტიკური სპექტრი, როგორიც დღეს საქართველოს ჰყავს, როგორც ისტორიკოსს, რაც კი წამიკითხავს, არ მახსენდება. არც მაშინ, როცა დაშლილი იყო და მეტსაც გეტყვით – არც მაშინ, როცა ოკუპირებული იყო.

– შევარდნაძის პერიოდზე რას იტყვით, იმ ბნელ და დანგრეულ 90-იან წლებზე?

– შევარდნაძის პერიოდში ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ასე თუ ისე როლს თამაშობდნენ პერსონალურად ... გამსახურდია იყო, შევარდნაძე იყო, ჯონ მალხაზ შალიკაშვილი იყო აშშ-ში და უამრავი სხვა პიროვნება... მე შევარდნაძესთანაც მისაუბრია, ზვიად გამსახურდიასთანაც, ჯაბა იოსელიანთანაც, ვინც უნდა ჩამომითვალოთ, ფაქტობრივად, ყველას პერსონალურად ვიცნობდი, მქონდა კონტაქტი. შეიძლება, ვიღაც მომწონდა და არ მომწონდა, მაგრამ ხარისხობრივი თვალსაზრისით თუ ავიღებთ, უკაცრავად, მაგრამ დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი იმ პერიოდის პარლამენტის, ალბათ, ერთ-ერთი წევრის ტოლიც არ არის.

– თქვენი აზრით, რამ გააქრო ნდობა პოლიტიკური სპექტრის მიმართ?

– გამოიწვია მათმა უვარგისობამ!

– რას გულისხმობთ?

– როდესაც შვილი პანჩურს გირტყამს, უვარგისი მამა ხარ, მორჩა! როცა ვერ აკეთებ გასაკეთებელს, როცა ყველა

დასასრული მე-6 გვერდზე

„იმიტომ გვინდა ევროპა, რომ რუსეთში „რუბინს“ ვერ გასცდები, „ნაპოლში“ კი მსოფლიოს მეფე იქნები“

მე-3 გვერდიდან

ხედავს, რომ შენი პირადი ამბიციები უფრო წინ გიდგას, ვიდრე ქვეყნის სიყვარული, რატომ გინდა, რომ ვინმე ჭკუათმყოფელი გენდოს?!

პიროვნებები ჯვარს უცვამთ და ახლა წმინდანები არიან, რადგან მათი დრო ყოფილა ცუდი. გახსოვთ, ვაჟა ამბობს: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“, მაგრამ როდესაც აღარც მოყვარე გრჩება და აღარც მტერი, სრულიად უინტერესო ხარ, ესე იგი, შენ მართლაც სრულიად უინტერესო ხარ! – ქართულ პოლიტიკურ სპექტრს დღეს ეს სჭირს და პირველ რიგში – ოპოზიციას. აბსოლუტურად უინტერესო გახდა და ეს იმიტომ, რომ არავინ აღარ არის, მორჩა და დამთავრდა! ეს ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდები, ახალი თაობა უნდა გამოვიდეს წინ. სანამ ახალი ძალა არ გამოვა, მკვდარს ვერ გავაცოცხლებთ.

– ეს ახალგაზრდობა და მისი ძალა მარტის აქციებზე ვნახეთ, რუსთაველზე, როცა პროტესტი ქვეყანაში იყო საყოველთაო. თქვენი აზრით, ამ ახალგაზრდებიდან რატომ ვერ წარმოიქმნა რამე ძალა, პოლიტიკური თვალსაზრისით?

– სტუდენტებსაც ვასწავლი, მოწაფეებიც მყავს და პირდაპირ გეტყვით – დღეს ვინც 30 წლისაა და მის ქვემოთ, ეს არის მთელი დანარჩენი ერის აბსოლუტურად განსხვავებული ნაწილი. ეს არის თავისუფლებაში დაბადებული ჩვენი ერის ნაწილი, უბრალოდ, ჯერჯერობით, არ ჰყოფნის რაოდენობა ანუ როგორც კი მათი რიცხვი მიაღწევს ამომრჩეველთა მინიმუმ 40%-ს, ერთ დღეს დავიძინებთ და გავიღვიძებთ სრულიად სხვა საქართველოში. ამას, დაახლოებით, ათი წელი სჭირდება, რადგან ესენი არიან ფანტასტიკურად მოაზროვნე ახალგაზრდები.

მე, საერთოდ, არ ვარ მიტინგისტი, მიტინგების მოყვარული ადამიანი იმიტომ, რომ მიტინგებზე იმდენად არ ჩანან ლიდერები, როგორც საქმეში და მე უფრო საქმეში მიყვარს დანახვა. რადგანაც შეხება მაქვს, ვასწავლი, ვეკონტაქტები, საქმეში ვხედავ, რომ გვეზრდება გენიალური, პატრიოტი და თავისუფალი მომავალი თაობა, უბრალოდ, ამათი პატრიოტიზმის, თავისუფლების, სიმამაცის დამნახავი საზოგადოება არის მათზე უმცროსი თაობა და უნდა მიაღწიონ მათ იმ ასაკს, რომ არჩევნებზე შეეძლოთ „ამინდის შეცვლა“. დემოგრაფიული კანონების გათვალისწინებით, ეს, დაახლოებით, ათ წელიწადში მოხდება... მახსენდება მოსეს წინასწარმეტყველება, 40 წელია საჭირო, სანამ თაობა გამოიცვლებაო... როგორც ეტყობა, ეს ღვთაებრივი კანონია და ქართველი ერი ხელახლა დაიბადება.

– როცა ამ მართლაც, ფანტასტიკურ ახალ თაობაზე ვსაუბრობთ, მიგაჩნიათ თუ არა მნიშვნელოვნად, რომ სახელმწიფო მის ინფორმირებულობას უნდა ზრდიდეს, თუნდაც პატრიოტული განხრით? ამას წინათ, ჩემმა შვილმა მითხრა, გამორიცხულია, რომ დღეს, თორნიკე ერისთავივით მოიქცეს ვინმე, ეგეთ გმირობას ვინ ჩაიდენსო? – მივუგე, გიორგი ანწუხელიძის ეპოქაში, ამას როგორ ამბობ-მეთქი?! ფიქრობთ, რომ განათლების სისტემა მეტად უნდა უღვიძებდეს ახალგაზრდებს ქართულ, პატრიოტულ, გმირულ სულისკვეთებას?

– განათლების სისტემა გვაქვს კატასტროფული. წიგნები, რომლებიც ბოლო ოცი წლის მანძილზე, საქართველოშია, ერთადერთი რამისთვის გამოდგება – მომავალში იმის სახელმძღვანელოდ, თუ როგორი არ შეიძლება იყოს სახელმძღვანელო!

– ისტორიის სახელმძღვანელოებს გულისხმობთ?

– ისტორიას, მათემატიკას, ბიოლოგიას... აბსოლუტურად ყველა დარგს. ეს ვითომდა „ბოლონიის პროცესი“ – ჭუჭყი გამოდგება იმის თვალსაჩინოდ, თუ როგორი არ შეიძლება იყოს განათლების პროგრამა.

მეორე საკითხი – ხელისუფლება სტადიონებს კი არ უნდა აუქმებდეს და მათ ადგილას კორპუსებს დგამდეს, არამედ, პირიქით, სკოლას უნდა აიძულებდეს, მინიმუმ, ერთი მოედანი მაინც ჰქონდეს, რათა ბავშვები სპორტით დაკავდნენ და არა – ნარკოტიკით, სამომავლოდ. ჩემი მოგონილი კი არაა გამონათქვამი – „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“... განათლების სისტემა არის მთლიანად შესაცვლელი, დასანგრევი და ახლიდან შესაქმნელია!

მთელი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით უნდა მიდიოდეს პროპაგანდა ქართველთა სულიერების, თვითშეგნების ასამაღლებლად... რომ ქართველი პირველია, რომ ქართველს ასპარეზი სჭირდება!

მარტივ რამეს გეტყვით, თუ გვინდა, რომ რუსეთი და ევროპა შევადაროთ, ყველაზე კარგი მაგალითია, ვთქვათ – ხუთი წელი იყო ხვიჩა კვარაცხელია რუსეთში, ვერც თავის თავს სძენდა რამეს და ვერც საქართველოს. გადავიდა ევროპაში, იტალიის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა და ქართველებში ვეებერთელა სულიერი აფეთქება გამოიწვია. ასეთი მაგალითი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვაქვს, სწორი გზის გამოსაკვეთად და მასმედია ამას უნდა ემსახურებოდეს.

ნუ გეწყინებათ, მაგრამ ჟურნალისტების 90%-ს რინგი აქვს გამართული, აჩხუბებენ ერთმანეთს... პრესაში პუბლიცისტიკა ხშირად გხვდებათ, ტელევიზიებზე რომ აღარაფერი ვთქვა?!

თუ ყველაფერ ამას მივხედავთ... სადაც ერთი პატარა ბიჭის მაგალითმა ათჯერ გაზარდა ბავშვებში სწავლის ნაყოფიერება, ამას, როგორც პედაგოგი, ისე გეუბნებით. არანორმალურადაა გაზრდილი ბოლო ერთ წელში მათი სურვილი, რომ ისწავლონ და წარმატებულები იყვნენ. გესმით, რამხელა შედეგი შეიძლება მოიტანოს სწორმა მაგალითებმა და მიმართულებამ? თუმცა, ეს რომ გააკეთონ, სათავეში უნდა იყვნენ დამფუძნებელი მამები, ავტორიტეტები და სამწუხაროდ, ასეთი მდარე პოლიტიკური სპექტრი, ჩვენ რომ გვყავს, მე არ მახსენდება. კარგად მახსოვს, რომ არაერთმა ოპოზიციონერმა ხვიჩა კვარაცხელიას კრიტიკა და ქილიკი დაუწყო.

– თქვენი აზრით, რატომ?

– ყველასი და ყველაფრის შურთ, გარდა საკუთარი თავისა ანუ თუ თვითონ არ იქნებიან სათავეში, ურჩევნიათ, რომ ეს ქვეყანა დაინგრეს. რაც უფრო უარესად წავა ამ ქვეყნის საქმე, უფრო უხარიათ, რადგან იმედი ეძლევათ, რომ თუ ეს ქვეყანა ცუდად იქნება, მათ მოუხმობენ სათავეში. თავისას კარგს ვერაფერს აკეთებენ და სხვის ცუდზე „ჩალიჩობენ“. სხვათა შორის, ეს ეხება ხელისუფლებასაც, რადგან უნდა მორჩეს ამ ოპოზიციის გინება და წამოძახილი – „შენ რა ცუდი ხარ“. რას აკეთებენ, იცით? იმას კი არ ამბობენ – „შენც კარგი ხარ და მეც კარგი ვარო“, არამედ, ერთმანეთის ცუდის ტირაჟირებას ეწევიან, რათა ნაკლებად ცუდად წარმოჩინდნენ და ამით ხეირი ნახონ.

სწორად გამიგეთ... ვთქვათ, როცა რეკლამას აკეთებ, რატომ უნდა გვინდოდეს ევროკავშირი, იმას კი არ უნდა ამბობდე, თუ არ შევალთ, დაგვსჯიანო და მსგავსი კრეტინობები... უნდა ითქვას, იმიტომ უნდა გვინდოდეს ევროპა, რომ რუსეთში „რუბინს“ ვერ გასცდები და „ნაპოლში“ მსოფლიოს მეფე იქნები... რასაც ჩვენი პოლიტიკანები ტლიკინებენ, ერთმანეთისა და საკუთარი დისკრედიტაციის მეტს, ვერაფერს აკეთებენ. საქმეს ხვიჩა კვარაცხელია აკეთებს და ეს ის თაობაა, რომელზეც წეღან ვსაუბრობდი. არ ვიცი, ვიცოცხლებ თუ არა, მაგრამ ზუსტად ათ წელიწადში, საქართველო იქუხებს იმიტომ, რომ ბრწყინვალე თაობა მოდის.

არაერთხელ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, დღეს საქართველოს „დიდგორი“ არის მშვიდობის შენარჩუნება და იცით, რატომ? იმიტომ, რომ დასცალდეს ამ თაობას დაღვინება და დაჭაბუკება, დაქალება და დავაჟება. როგორც კი ეს მოხდება, საქართველოს წინ, ღვთის წყალობით, ვეღარაფერი დაუდგება. ამიტომ, დღეს ჩვენთვის საგარეო და საშინაო მშვიდობის შენარჩუნება არის „დიდგორის“ ტოლფასი.

– წეღან ეროვნული შეთანხმების არარსებობაზე საუბრობდით და იმას გულისხმობდით, რომ ახლა ერში იდეა არ არსებობს?

– იდეაზე რომ შეთანხმდე, იდეა უნდა გქონდეს და ამ ცალტვინა ადამიანებს რა იდეა აქვთ თავში? ამაზეა საუბარი... ესენი რაზე უნდა შეთანხმდენენ, რაც არ გააჩნიათ? პირდაპირ ვთქვათ, ფულისა და გამდიდრების გარდა, „სალაფავის ჭამის“ გარდა, პოლიტიკურ სპექტრს სხვა საზრუნავი არ აქვს, კუჭით აზროვნებენ და არა – გონებით. არ მაინტერესებს, ეწყინებათ თუ არა. ასე რომ, იდეაზე შეთანხმებას იდეა სჭირდება...

– ბატონო სვიმონ, ილიას ეპოქა გამახსენდა, როდესაც დიდი უიმედობის განცდა იყო საქართველოში, გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე, თავის თანამოაზრეებთან ერთად... როგორ ფიქრობთ, რამ გამოაფხიზლა მაშინ საზოგადოება?

– არაფერმაც არ გამოაფხიზლა იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძემ იმდენი იწვალა და იცით, რომ 1901 წლის შემდეგ... მაშინაც კი, როცა ილია ჭავჭავაძე გახდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი ანუ სენატორი, „ივერია“ ვეღარ გამოდიოდა, არამედ, გამოდიოდა სოციალისტური და ანარქისტული გაზეთები, რადგან მკითხველი აღარ ჰყავდა. 1901 წლიდან, მასობრივმა საყოველთაო გაზეთმა შეწყვიტა გამოსვლა...

კირიონ საძაგლიშვილი საქართველოში რომ ჩამოვიდა, პირველი, იცით, რა იქადაგა 1918 წელს? – თქვენ რომ გიყურებთ, ვერაფერი გიშველით, დედის მუცლიდან ხელახლა თუ დაიბადებითო... ასე რომ, იმ ეპოქის მასობრივი განწყობა არაფრით უსწრებდა დღევანდელს, უბრალოდ, ერთი სხვაობა იყო – მაშინ სათავეში ჩვენ გვყავდა მსოფლიო მასშტაბის სარდლები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, რასაც დღევანდელობაზე, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, მაგრამ ეგეც ვერ გვიშველის და სწორ გზაზე ვერ დაგვაყენებს, რადგან ბრძოლას იგებენ სარდლები, ომს – პოლიტიკოსები, მაგრამ თავისუფლება თუ ერმა არ მოინდომა, თუ საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ არის მოყვარული თავისუფლების და მათი რჩეული ნაწილი არ არის თავგამწირავი თავისუფლებისთვის, ვერავითარი „ნაპოლეონები“ და „აღმაშენებლები“ ერს თავისუფლებას ვერ მოუპოვებენ. ჩემთვის ილია ჭავჭავაძე ყველა დროის, ყველაზე დიდი ქართველია, მაგრამ ილიას ცხოვრება და თავგანწირვაც არ ეყო ბოლომდე თავისუფლების მოპოვებას, რადგან თავისუფლების ფასი ჰქონდათ მაშინ ქართველებს დაკარგული. დღეს კი, როცა ახალგაზრდებს ვუყურებ, ვხედავ, რომ ამათ ეს იციან და შესაბამისად, მათ ბრწყინვალე წინამძღოლებიც გამოუჩნდებათ... დრო სჭირდება ამას...

ირაკლი ღარიბაშვილი: „დასაქმება ისტორიულ მაქსიმუმზეა, თითქმის ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს!“

მაკა რუხაძე

პრემიერ-მინისტრის წლიური ანგარიშის ძირითადი ეკონომიკური ასპექტები

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი წლიური ანგარიშით პარლამენტში 30 ივნისს წარსდგება. ეს მისი რიგით მესამე წლიური მოხსენება იქნება და უკვე ცნობილია, რომ პრემიერს საკმაოდ მწვავე კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა. წლიური ანგარიში, რომელშიც დეტალურადაა ასახული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, თავდაცვის, უსაფრთხოების საკითხები, საკანონმდებლო ორგანოში უკვე გადაგზავნილია. მართალია, ღარიბაშვილის პარლამენტში გამოსვლამდე 23 დღეა დარჩენილი, თუმცა 5 ივნისის მთავრობის სხდომაზე, წლიური ანგარიშის რამდენიმე დეტალი ფართო აუდიტორიისთვისაც გახდა ცნობილი. მაგალითად, უკვე გადაწყვეტილია, რომ მთავრობა უკვე მუშაობს თანამედროვე, საერთაშორისო კლასის ახალი აეროპორტის მშენებლობაზე, რომელიც რეალურად შეიძლება გახდეს ჰაბი. ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ ამ მიზნით, თბილისში, იდეალური ადგილი ვაზიანის ყოფილი აეროდრომია. გარდა ამისა, ზუსტად ვიცით, რომ 2024 წელს, მსოფლიო ტურიზმის დღე საქართველოში აღინიშნება. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, შემთხვევითი არ არის და სიმბოლურია, რომ ტურიზმის დღის მთავარი თემა იქნება მშვიდობა და ტურიზმი. მისივე თქმით, სიმბოლურია, რომ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩასატარებლად, სწორედ ჩვენი ქვეყანა – საქართველო აარჩიეს. ახლა კი, ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ასპექტები განვიხილოთ, რომლებზეც პრემიერ-მინისტრი ვრცლად, 30 ივნისს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ისაუბრებს.

პრემიერის განცხადებით, ეკონომიკური ზრდა გვაქვს საკმაოდ მაღალი, რადგან აპრილში გვქონდა 7.5%-იანი ეკონომიკური ზრდა, რაც მიმდინარე, ძალიან რთული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, ძალიან დამაიმედებელი, კარგი და პოზიტიური პროგნოზია. იანვარ-აპრილში, საქართველოს ეკონომიკური ზრდა გამოდის 7.3%, რაც ერთ-ერთი სამაგალითოა მთელ მსოფლიოში. პრემიერისვე თქმით, აპრილში ექსპორტის მოცულობა 20%-ით გაიზარდა:

„ასევე, მინდა გითხრათ, რომ წლის პირველ კვარტალში, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლების ზრდამ 100%-ს გადააჭარბა. ზრდა ფიქსირდება მშენებლობის სექტორში, საფინანსო, სადაზღვევო საქმიანობის, ტრანსპორტის, დასაწყობების, ინფორმაციის, კომუნიკაციის სექტორებში. ზოგადად, მთლიანობაში, ძალიან პოზიტიური დინამიკა გვაქვს, რასაც, რა თქმა უნდა, შენარჩუნება სჭირდება. ამის პირველი, მთავარი განმაპირობებელი არის ის მშვიდობიანი პერიოდი, რაც ჩვენ გვაქვს ქვეყანაში. მშვიდობა არის ამის მთავარი საფუძველი და ჩვენი სწორი პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი მთავრობა ახორციელებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პირველ კვარტალში, ბიზნეს-სექტორში ბრუნვა საკმაოდ გაზრდილია. ფაქტები მინდა მოვიყვანო: პირველ კვარტალში, დაახლოებით, 15%-ითაა გაზრდილი ბიზნეს-სექტორის ბრუნვა, რამაც შეადგინა 44 მილიარდი ლარი. რა თქმა უნდა, ეს პირდაპირ პასუხობს იმას, რაც გითხარით და პირდაპირ არის ასახული ყველაფერზე. ასევე, გამოშვების ზრდაში, ზოგადად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვაჭრობის ზრდამ, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მშენებლობის, განთავსების საშუალებების და ა.შ. ყველა მიმართულებით გვაქვს პოზიტიური დინამიკა“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის სხდომაზე, ირაკლი ღარიბაშვილმა ისაუბრა ქვეყანაში სამუშაო ადგილების ზრდაზე. მისი თქმით, პირველ კვარტალში, სამუშაო ადგილების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა – 42 000-ით მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა და 716 000 შეადგინა, რაც პირველ კვარტალში, ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის რეკორდული მაჩვენებელია:

„მათ შორის, 2020 წელს, ჩვენ გვქონდა პირველი კვარტლის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო პანდემიის ეფექტი ასახული და მხოლოდ 31 000 იყო. 2020 წელს, ეს რაოდენობა ითვლებოდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი. ახლა, სულ ორი წლის შემდეგ, 42 000-ით მეტი გვაქვს მატება პირველ კვარტალში, დასაქმების მიმართულებით. ასე, რომ ეს ძალიან სასიხარულო ინფორმაციაა“.

მისივე თქმით, უმუშევრობა და სიღარიბე ისტორიულ მინიმუმზეა. ღარიბაშვილის განცხადებით, ამის თაობაზე, მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა წინა კვირას იმსჯელა. გარდა ამისა, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურმა – „საქსტატმაც“ გამოაქვეყნა ახალი მონაცემები, რომლითაც დასტურდება, რომ დასაქმება ისტორიულ მაქსიმუმზეა. ღარიბაშვილის თქმით, შეიძლება ითქვას, რომ უმუშევრობა შემცირდა და ისტორიულ მინიმუმზეა ისევე, როგორც სიღარიბე შემცირდა:

„2012 წელთან შედარებით, თითქმის, ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს. 1 100 000 ადამიანი იყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 2012 წელს, როცა ჩვენ ჩავიბარეთ ხელისუფლება და ახლა განახევრებულია ეს მაჩვენებელი. შედარებისთვის, 2010 წელს, უმუშევრობის დონე იყო 27%, ახლა 17%-ზეა ჩამოსული და ათ წელიწადში, ამხელა პროგრესია. თუ არ ვცდები, სიღარიბის მაჩვენებელი 37-38%-ზე იყო 2010-2011 და 2012 წლებში. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვები კი არ არის, გამყარებულია ფაქტებით“.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სიღარიბის დონემ 15.6%-ს მიაღწია, რაც ჯერ კიდევ დიდი პრობლემაა, მაგრამ ეს მაჩვენებელი ისტორიული მინიმუმია. მისივე თქმით, მაღალი ინფლაციის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, მოკლე ვადით, მიზნობრივ დონეზე მეტად შემცირებული ინფლაცია, გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების დამატებით, სიტუაციას დაასტაბილურებს:

„რაც შეეხება ინფლაციას, მოგეხსენებათ, რომ ეს ერთ-ერთი, მთავარი გამოწვევა იყო ჩვენი მთავრობისა და არა მხოლოდ ჩვენი მთავრობის, ზოგადად, მთავრობების და მთელი მსოფლიოს ეკონომიკის. ინფლაციის დონემ მაისში შეადგინა 1.5%, რაც ძალიან კარგია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მაღალი ინფლაციის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ეს ანუ მოკლე ვადით, მიზნობრივ დონეზე მეტად შემცირებული ინფლაცია, გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების დამატებით, სიტუაციის ნორმალიზებას შეუწყობს ხელს. აქვე, შედარებისთვის მინდა გითხრათ, რომ თუ შევხედავთ რეგიონს, ან ევროპის ქვეყნების ავიღებთ, იქ ჯერ კიდევ ორნიშნა ინფლაცია აქვთ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ლიტვაში 15%-მდეა ინფლაციის დონე, პოლონეთში – 14.7%, ჩეხეთში – 12.7%, ბულგარეთში – 12%, რუმინეთში – 11%. ჩვენს სამეზობლოშიც საკმაოდ მაღალია ინფლაცია, ცენტრალური აზიის ქვეყნებში, მაგალითად, ყაზახეთში – 16.8% და ა.შ.

ჩვენთან, როგორც მოგახსენეთ, მაისში – 1.5% არის ინფლაციის დონე, რაც ძალიან კარგია და ეს პირდაპირ იმის დადასტურებაა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ, ჩვენმა მთავრობამ სწორი პოლიტიკა გაატარა. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება შენარჩუნება. ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც შეეხებოდა, თუნდაც მედიკამენტების ფასების შემცირებას, საწვავის ფასების შემცირებას, სურსათზე ფასები შემცირებას, ეს ყველაფერი აისახა საერთო კალათაში. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება კიდევ უფრო მეტი მუშაობა და მეტი კოორდინაცია, მეტი კონტროლიც და მონიტორინგიც. მაგალითისთვის გეტყვით, რომ როდესაც ახლა, მოლდოვაში ვიყავით შეკრებაზე, რამდენიმე ქვეყნის ევროპულ ლიდერთან მქონდა საუბარი ინფლაციის დონეზე. როდესაც მკითხეს რამდენი იყო ჩვენთან მიმდინარე ინფლაცია, მათთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები განიხილავენ ახლა, ჯერ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, მაგრამ განიხილავენ სურსათის ფასებზე ფიქსირებული განაკვეთების დაწესებას, ე.წ. დაქეფვას. ჩვენ დაველოდებით ამ გადაწყვეტილებას, დავამუშავებთ მათ მაგალითებს და ვნახავთ, შევხედავთ ჩვენთან მიმდინარე ტენდენციას. თუმცა, როგორც ვიცი, მას შემდეგ, რაც ჩვენ დავიწყეთ ეს კამპანია და საუბრები გვქონდა არაერთ იმპორტიორთან, დისტრიბუტორთან, ფასები წამოსულია საგრძნობლად. ეს ყველაფერი ჰაერიდან არ მოსულა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აისახა ეკონომიკაზე“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ხარვეზები შესყიდვებში, დაუდასტურებელ ხარჯებსა და შიდა კონტროლში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციით დაინტერესდა. აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2019-2021 წლების ფინანსურ საქმიანობას მოიცავს. ვიდრე დეტალურად გაგაცნობთ იმ დარღვევებს, რომლებიც სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, შეგახსნებთ, რომ 2019-2021 წლებში, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის შემოსავლებმა შეადგინა 8 054 958 ლარი, მათ შორის, საბიუჯეტო დაფინანსება – 5 236 375 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები – 2 818 583 ლარი იყო. ამავე პერიოდში, ფედერაციის ხარჯებმა შეადგინა 7 488 413 ლარი. აქედან, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისთვის დაიხარჯა 3 125 425 ლარი, წინასაშეჯიბრო შეკრებებზე – 680 851 ლარი, ადგილობრივ ტურნირებზე – 924 383 ლარი, ხოლო ფედერაციის მართვაზე – 2 757 753 ლარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს ხელბურთის ფედერაციით დაინტერესდა

ხარვეზები შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს ხელბურთის ფედერაცია სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპებს. ამ პრინციპების დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში განხორციელებული, ასევე, სხვადასხვა მომსახურებისა და მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვის თაობაზე არსებული გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით.

„სპორტსმენთა ტექნიკური, ტაქტიკური და ფუნქციონალური დონის ამაღლების მიზნით, 2019-2021 წლებში, ფედერაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ნაკრების სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების დაფინანსებამ შეადგინა 680 851 ლარი. შეკრებების ორგანიზების ხარჯების დიდი ნაწილი – 292 725 ლარი მოდის სასტუმრო მომსახურებაზე, რომლის შესყიდვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და ამ პროცესის კონტროლის მექანიზმები გამოირჩევა შემდეგი სახის ნაკლოვანებებით: რიგ შემთხვევებში, მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა განხორციელებულია ბაზრის კვლევისა და, შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის/ანალიზის გარეშე. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სასტუმრო მომსახურების ერთეულის ღირებულებები; ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის ინსპექტირების მექანიზმი, არ არის შეთანხმებული და განსაზღვრული სპორტსმენთა კვებისათვის საჭირო რაციონი და მისი ღირებულება; არ არსებობს შეკრებების ჩატარების პერიოდულობის, ხანგრძლივობის, მათში მონაწილეთა შემადგენლობის და რაოდენობის დადგენის წესი; შეკრებებში მონაწილე სპორტსმენების მიერ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მომსახურების მიღება დადასტურებული არ არის შეკრებების მომზადებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი გუნდის მწვრთნელების მიერ; არ ხორციელდება შეკრებებში მონაწილე პირთა რეგისტრაცია/აღრიცხვა და წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება გაწეული მომსახურების რეალური მოცულობა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2019-2021 წლებში, სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 174 834 ლარი. ამ შემთხვევაშიც, მომსახურების შესყიდვა განხორციელებულია ბაზრის კვლევის გარეშე, უფრო ზუსტად, მომსახურების 45% ბაზრის კვლევის გარეშეა შესყიდული, თანაც ერთი მიმწოდებლისგან. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების დროს მონაწილე სპორტსმენთა გადაყვანაზე ერთსა და იმავე პერიოდში, მგზავრთა რაოდენობის, მანძილისა და მარშრუტის უცვლელობის პირობებში, ტრანსპორტირების ხარჯი არსებითად განსხვავდება. ამ სხვაობებთან დაკავშირებით, ფედერაციის წარმომადგენლებმა სახელმწიფო აუდიტორებს სათანადო მტკიცებულებები ვერ წარუდგინეს.

„კერძოდ, 2019 წელს, თბილისში ჩატარებულ მსოფლიოს ერთა ჩემპიონატზე, ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრთა ტრანსპორტირების ხარჯმა, 2019 წლის ივნისში, შეადგინა დღეში 400 ლარი. ამავე წლის აგვისტოში, 17 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატზე, დღიურმა ხარჯმა შეადგინა 250 ლარი. ერთი და იმავე მიმწოდებლის მიერ გაწეული სატრანსპორტო მომსახურება ანაზღაურებულია მარშრუტის მანძილიდან გამომდინარე, ურთიერთშეუსაბამო ტარიფებით. კერძოდ, 2020 წლის აგვისტოში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისი-ურეკი-თბილისის მარშრუტზე – 632 კილომეტრზე, ორდღიანი სატრანსპორტო მომსახურების ტარიფი, ერთ პერსონაზე შეადგენდა 44 ლარს, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისი-ბორჯომი-თბილისის მარშუტზე – 314 კილომეტრზე, ერთდღიანი მომსახურების ტარიფმა, ერთ პერსონაზე – 36 ლარი შეადგინა“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ შესამოწმებელ პერიოდში, ბაზრის კვლევისა და შესაბამისი ალტერნატიული წინადადებების განხილვის ანალიზის გარეშე, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ შეისყიდა 49 074 ლარის მედიკამენტები და საკვები დანამატები. მედიკამენტებისა და საკვები დანამატების საჭიროების განსაზღვრისა და ხარჯვის პროცესში არ არსებობს კონტროლის მექანიზმები, რაც წარმოშობს სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს.

„შესასყიდი მედიკამენტების, დანამატების მოცულობისა და ნომენკლატურული სტრუქტურის განსაზღვრას საფუძვლად არ უდევს შესაბამისი პროფილის სპეციალისტის დასკვნა; საკვები დანამატებისა და მედიკამენტების ხარჯვის გამოყენების ნორმები დადგენილი არ არის ხელბურთელთა ფიზიკური მონაცემებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე; მედიკამენტებისა და საკვები დანამატების გაცემა არ ხორციელდება ექიმის დანიშნულების მიხედვით. ხელბურთელებზე მედიკამენტებისა და დანამატების გაცემის ფაქტი დოკუმენტურად არ დასტურდება; მიღებული მედიკამენტებისა და საკვები დანამატების ჩამოწერა ხორციელდება ღონისძიების დასრულების შემდეგ, არა ფაქტობრივი ხარჯვიდან გამომდინარე, არამედ, მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ზედდებულის შესაბამისად შედგენილი ჩამოწერის აქტის საფუძველზე, სრულად, ფაქტობრივი ნაშთის დაფიქსირების გარეშე“.

რაც შეეხება საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურებას, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ევროპის ხელბურთის ფედერაციასა და საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ტურნირებზე მონაწილე გუნდების სასტუმრო მომსახურების, კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები უნდა დაფინანსებულიყო მონაწილე ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან. 2021 წელს, საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურება – 49 450 ლარის ოდენობით, დაფინანსებულია არა მონაწილე ფედერაციების მიერ გადახდილი თანხებიდან, არამედ, კრიტერიუმის შეუსაბამოდ და თანაც საბიუჯეტო სახსრებით!

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ბაზრის კვლევისა და, შესაბამისად, ალტერნატიული წინადადებების განხილვა-შეფასების გარეშე მიმწოდებლების შერჩევა, ზრდის საბაზრო პირობებთან შეუსაბამო ფასისა და მიწოდების პირობების ჩამოყალიბების რისკებს, რაც თავის მხრივ, იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას, შესყიდვის პროცესში. საკვები დანამატებისა და მედიკამენტების საჭიროების განსაზღვრისა და გაცემისას, კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, მაღალია მათი არამიზნობრივი გამოყენების რისკები.

დასასრული მე-8 გვერდზე

ხარვეზები შესყიდვებში, დაუდასტურებელ ხარჯებსა და შიდა კონტროლში

მე-7 გვერდიდან

ხარვეზები დაუდასტურებელ ხარჯებში

„მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ შესაბამისად, მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისთვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. ანგარიშვალდებული პირის მიერ შესყიდვების განხორციელება დადასტურებული უნდა იყოს პირველადი დოკუმენტებით.

ვნახოთ, არის თუ არა ეს წესი დაცული საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2019-2021 წლებში, ფედერაციის ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემულ თანხებზე, რიგ შემთხვევებში, წარდგენილი არ არის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

„კერძოდ, 2019 წელს, ფედერაციის საბანკო ანგარიშიდან სატრანსპორტო მომსახურების ანაზღაურების მიზნით, ი/მ გია ბადალაშვილზე გადარიცხულ 42 230 ლარსა და ი/მ მამუკა ლომიძეზე გადარიცხულ 11 000 ლარზე, სულ ორივე შემთხვევაში – 53 230 ლარის ტრანზაქციებზე, არ არსებობს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, ინვოისები, ზედნადებები და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტები); 2019-2021 წლებში, მივლინებების სახით სულ გახარჯულია 86 040 ლარი. რიგ შემთხვევებში, მივლინების მიზნით გაცემული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარდგენილი არ არის. კერძოდ, 2019-2020 წლებში, ფედერაციაში მივლინების სახით გაცემულ 13 380 ლარზე არ არსებობს ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები; 2019-2021 წლებში, ფედერაციის პრეზიდენტის სახელზე გახსნილი ბიზნეს-ბარათის გამოყენებით, ფედერაციის საბანკო ანგარიშებიდან, თბილისში არსებული სხვადასხვა ბანკომატის მეშვეობით, გამოტანილია სულ – 451 256 ლარი. აღნიშნული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები ფედერაციაში არ არსებობს! სალაროს ოპერაციები ნაღდი ანგარიშსწორებით ანგარიშვალდებული პირის მიერ გატანილ თანხებზე ნაწარმოები არ არის. აღნიშნული თანხებიდან, 2021 წელს, ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის მიერ, საბანკო ანგარიშზე დაბრუნებულია 40 000 ლარი“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში, რიგ შემთხვევებში, სამივლინებო თანხების ხარჯვა არ წარმოებს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის შესაბამისად. მივლინების თანხები გაცემულია მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დასაქირავებლად, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე. საბანკო ანგარიშიდან ნაღდი ანგარიშსწორებით გატანილ თანხებსა და სატრანსპორტო მომსახურების სახით გაწეულ ტრანზაქციებზე არ არსებობს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

სახელმწიფო აუდიტორებმა შიდა კონტროლის ნაკლოვანებებიც გამოკვეთეს. კერძოდ, ირკვევა, რომ ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ, საქმიანობაზე წესდებით გათვალისწინებული კონტროლი სათანადოდ არ ხორციელდება. მაგალითად, ყოველწლიური ანგარიში ფედერაციის ქონების მდგომარეობის შესახებ, 2019-2021 წლებში არ არის შედგენილი; 2019-2020 წლებში, პრეზიდიუმის სხდომების ჩატარების შესახებ შესაბამისი ოქმები წარდგენილი არ არის; ფედერაციის ბიუჯეტის პროექტი პრეზიდიუმის მიერ მომზადებული და ყრილობის მიერ არ არის დამტკიცებული; საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, ფედერაციის თანამდებობის პირთა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულები და სახელფასო ფონდი 2019 წელს არ დამტკიცებულა; ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე ანგარიშები არ შედგენილა და ყრილობაზე დასამტკიცებლად არ წარდგენილა; ყოველი წლის ბოლოს, ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა არ განხილულა და მომავალი წლის ბიუჯეტი არ დამტკიცებულა; წესდების შესაბამისად, ფედერაციის საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი ფედერაციის ხაზინადარის წარდგენა და ყრილობის მიერ არჩევა 2019-2020 წლებში არ განხორციელებულა; 2019-2020 წლებში დამოუკიდებელი აუდიტორი არ მოწვეულა და ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება არ ჩატარებულა.

„ფედერაციაში არ წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება. შესაბამისად, არ არის აღრიცხული ხელბურთის ფედერაციაში არსებული ძირითადი საშუალებები, სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები; არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფედერაციას კრედიტორული დავალიანების სახით, ხუთი ორგანიზაციის მიმართ გააჩნია ბუღალტრულად აღურიცხავი 292 169 ლარის დავალიანება. აუდიტის პერიოდში ჩატარებული მატერიალურ ფასეულობათა აღწერით გამოვლინდა 73 სხვადასხვა დასახელების, 98 ერთეული ბუღალტრულად აღურიცხავი მატერიალური ფასეულობა, მათ შორის, ძირითადი აქტივები“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განუხორციელებლობა, სუსტი შიდა კონტროლის გარემო და ცალკეულ პროცესში კონტროლის მექანიზმების არარსებობა ზრდის ფულადი სახსრებისა და მატერიალური ქონების არამიზნობრივი, ასევე, არაეფექტიანი გამოყენების რისკებს. შრომითი ურთიერთობები არ ეფუძნება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს; დასაქმებულთა სამუშაო დროის განსაზღვრის მიზნით, ფედერაციის შინაგანაწესი, ან სხვა სახის დამატებითი წერილობითი დოკუმენტი არ არის მიღებული; არ არსებობს სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემა, რაც სუსტი შიდა კონტროლის პირობებში, იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან განკარგვას და ზრდის ფიქტიური შრომითი საქმიანობის ანაზღაურების რისკებს.

სამართალი

№20 7 ივნისი 2023 წ

კრიმინალური ავტორიტეტი საცოლემ მოწამლა

წყნეთის ტყის კრიმინალური საიდუმლო

ბათო ჯაფარიძე

ძველად „ქურდულ კარაბადინში“ ასე ეწერა – შავი სამყაროს წარმომადგენელს არ ჰყავს ოჯახი, არც დედა, არც მამა, არც და-ძმა, არც ცოლი და არც შვილი. მისი ოჯახი ქურდული სამყაროა, „პადელნიკები“, ძმაკაცები... ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ადრე, ახლა კი, ცოლი და შვილი კი არა, ე.წ. კანონიერი ქურდები დაცვის თანხლებით გადაადგილდებიან, ბიზნესით არიან დაკავებულნი, ადრე თუ ქურდი ქურდს არ ეხებოდა, ახლა ერთმანეთს ემტერებიან და შეკვეთილი მკვლელობების არაერთმა ტალღამ გადაუარა, განსაკუთრებით, რუსეთში მცხოვრებ „კანონიერ ქურდებს“. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, 70-იანი წლების მიწურულს მოხდა და გარკვეულ წრეებში მას უზარმაზარი რეზონანსი მოჰყვა. გაგიკვირდებათ და, იყვნენ ადამიანები, რომლებიც დამნაშავეს ამტყუნებდნენ, უმრავლესობა – ამართლებდა, ეგებ, მორალურად გამართლება უფრო სწორი იქნებოდა, მაგრამ არც საბჭოთა და არც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მორალურ მხარეს არ ითვალისწინებს.

მოკლედ, 70-იანი წლების მიწურულს, ახალგაზრდა ქალმა, გენერალური პროკურორის მისაღები ლამის შტურმით აიღო. ის გენერალურ პროკურორთან აუდიენციას ითხოვდა და ამ ამბავს თავად პროკურორიც შეესწრო, ძალიან მშვიდად უთხრა მდივანს, დაწყნარდეს და შემოვიდესო და კაბინეტში შეაბიჯა. ქალი მალე დაწყნარდა და რამდენიმე წუთში, გენერალური პროკურორის წინ იჯდა.

„ჩემს საქმროსთან ერთად, ქუჩაში ვსეირნობდი, შებინდებული იყო, როცა სამი მამაკაცი მოგვიახლოვდა და ჩემთვის ოქროს საყურეების წართმევა გადაწყვიტეს. რა თქმა უნდა, საქმრო გამომექომაგა, მაგრამ მათ სასტიკად სცემეს, მე საყურეები ჩემი ხელით მოვიხსენი, თორემ ყურიანად წამგლეჯდნენ. ადგილობრივ განყოფილებაში მივედით, განცხადებაც დავწერეთ, მაგრამ ძალიან ზერელედ მოგვისმინეს. ეს ერთი კვირის წინ იყო, გუშინ კი ჩემი საქმრო დაიჭირეს და იმ სამი თავდამსხმელიდან ერთ-ერთის მკვლელობაში დასდეს ბრალი. ვიღაცას მოუწამლავს სამივე, ორი საავადმყოფოშია – უმძიმეს მდგომარეობაში, ერთი ადგილზე გარდაიცვალა. მილიციის თანამშრომლები ამბობენ, შენ იყავი მათზე გაბრაზებული და შენ მოკლავდიო. არადა, ზუსტად გეუბნებით, ჩემი საქმრო მკვლელი არ არის და რაც მთავარია, როცა ისინი მოწამლეს, ჩვენ საერთოდ ქალაქიდან ვიყავით გასულები, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოში ვსეირნობდით, მაგრამ გამომძიებელს არაფრის გაგონება არ სურს“, – მოთქვამდა ქალი.

გენერალური პროკურორისთვის საქმე კარგად იყო ნაცნობი, რადგან ამ საქმეზე დანიშნულმა ბრალმდებელმა სულ თავი იქნია, რაღაცები არ მომწონს, ან გამომძიებლები მალავენ რამეს, ან – ოპერმუშაკებიო და ახლა, ქალის მოსმენის შემდეგ, ეჭვი უფრო გაუმძაფრდა. აღელვებული ქალი დაამშვიდა და დაპირდა, აუცილებლად, ყველაფერს გავარკვევ და თუ თქვენი საქმრო უდანაშაულოა, პირობას გაძლევთ, იზოლატორიდან მმაჩის ბიუროში პირადად მოვიყვანო.

სამართალდამცავებისთვის კარგად ნაცნობი სამი კრიმინალი მართლაც უცნაურ ისტორიაში გაებნენ. ისინი ხალხს ძარცვავდნენ, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ყველა შემთხვევაში, თითქოს, მათ მხარეს იყვნენ მილიციის თანამშრომლები, არ აკავებდნენ, მოქალაქეებს ეუნებოდნენ, საქმეს ვიძიებთო და სინამდვილეში, არაფერს იძიებდნენ. ამიტომ, პროკურორმა გადაწყვიტა, კონკრეტული განყოფილება შეემოწმებინა და საქმე პირად კონტროლზე აიყვანა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქრთამის აღება, ან უდანაშაულოს დასჯა გამორიცხული იყო. იმავე დღეს, საქმე ახალ გამომძიებელს გადასცეს, რომელსაც უმკაცრესი მითითება ჰქონდა – რეალური დამნაშავე უნდა ეპოვა, ხოლო თუ მკვლელი მართლა დაკავებული იყო, არც მისთვის უნდა გადაესვა თავზე ხელი.

და მაინც, რა მოხდა?

სამი კრიმინალი წყნეთის ტყეში, მწვადის საჭმელად იყვნენ წასულები და ისინი შემთხვევითმა გამვლელმა იპოვა. სამივე „მიშიაკით“ გახლდათ მოწამლული, ერთი უკვე გარდაცვლილი იყო, ორს კი მიუსწრეს ექიმებმა, მაგრამ თავს იქნევდნენ, გადარჩენის შანსი ძალიან ცოტაა, მთელი ორგანიზმი მოწამლულიაო ანუ ვიღაცამ კრიმინალებს სასმელში „მიშიაკი“ ისე შეაპარა, რომ მათ არაფერი იცოდნენ. დაზარალებულებს ისეთი სახელები ჰქონდათ, უცხო მათთან ახლოს ვერ მივიდოდა ანუ ვიღაც ძალიან შინაური იყო. ყველაფერი ეს, იმას ნიშნავდა, რომ დაკავებული, რომელმაც მათ უჩივლა, მწვადთან ვერ მოხვდებოდა, თუმცა...

„მიშიაკი, როგორც ხორცში, ისე სასმელში იყო გარეული ანუ ვიღაცას გულით სურდა, რომ სამივე მათგანი მომკვდარიყო, უბრალოდ, მათ ძალიან ჯანმრთელი ორგანიზმი აღმოაჩნდათ, ხოლო გარდაცვლილს ყველაზე მეტი ჰქონდა დალეული“, – ეწერა ექსპერტიზის დასკვნაში.

რეანიმაციაში მყოფებს ცოლ-შვილი არ ჰყავდათ, აი, გარდაცვლილს კი შინ საცოლე ელოდებოდა. ყოველ შემთხვევაში, გოგონა თავს სწორედ საცოლეს უწოდებდა და მეზობლებიც ამბობდნენ, ცოლ-ქმარივით ცხოვრობდნენ, არც კი გვეგონა, ხელი თუ არ ჰქონდათ მოწერილიო. ქალი ჯავრით აღარ იყო, ეს რა დამემართა, ახლა აღარც ქვრივი მქვია, აღარც – არაფერი, სამომავლოდ რა მეშველება, თან რა კაცი დავკარგე, ოცნების მამაკაციო... როცა გამომძიებელმა სუფრაზე ჰკითხა, გოგონამ თავი გადააქნია, ეგენი ხორცს არასდროს ყიდულობდნენ, დეზერტირების ბაზარში, ხორცის სექციაში, მესამე ყასაბი რომ დგას, მუდმივად ის ჩუქნიდაო. გამომძიებელი ახლა ყასაბთან წავიდა.

„ვჩუქნიდი, ჰო, მიხაროდა, რომ ლუკმას მართმევდნენ. შიშით ვაძლევდი, მილიცია მაგათ მხარეს იყო და კრიმინალები კიდევ თავად არიან. კვირაში ორჯერ მაინც მოდიოდნენ და სამწვადე მიჰქონდათ. მამა უცხონდა იმას, ვინც ეგენი დასაჯა და მე კი ნუ მდებთ ბრალს, ორი თვის წინ რომ ბიჭი სცემეს და ეტლიდან ჯერაც არ ამდგარა, იმის მამას მოჰკითხეთ, ის იმუქრებოდა, უნდა მოვკლაო“, – განაცხადა ყასაბმა.

ბიჭი მართლაც მძიმე სანახავი იყო. მართალია, ექიმები ამბობდნენ, აუცილებლად გაივლისო, მაგრამ ამის დაჯერება ძალიან ძნელი იყო. მამამ მშვიდად მოუსმინა გამომძიებელს და ასევე მშვიდად უთხრა: „გელოდებოდით. ვიცოდი, ეჭვს ჩემზე რომ მოიტანდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბავშვი საავადმყოფოდან გამოწერეს, სახლიდან იშვიათად გავდივარ, ბევრი ყურადღება სჭირდება, სამსახურიც კი მივატოვე, ცოლი ავადმყოფი მყავს და ორივე ჩემს კისერზე არიან, ჩემს გარეშე, ვერაფერს აკეთებენ. მიხარია, რომ ერთი მოკვდა, მწყინს – ორი რომ გადარჩა. მოვკლავდი, თუ არა? სიამოვნებით, მაგრამ ამისთვის ვერ მოვიცალე“.

ძიება ჩიხში შევიდა, გამომძიებელს მხოლოდ იმის იმედი ჰქონდა, რომ იმ ადამიანის დაკითხვა მოიტანდა რამეს, რომელმაც კრიმინალები ტყეში იპოვა. მამაკაცმა ახალი ვერაფერი თქვა, ის სოკოს ეძებდა, დაინახა მიწაზე დაგდებული სამი ადამიანი, მიხვდა, რომ მოწამლულები იყვნენ, ეგონა, სოკო შეწვეს და იმით მოიწამლნენ. გზაზე გამოვიდა, პირველივე მანქანას ხელი დაუქნია და სთხოვა, მილიციასა და სასწრაფოში დაერეკა, თავად კი მამაკაცებთან დაბრუნდა და ცდილობდა, რამენაირად დახმარებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

„სანამ იმ ადგილამდე მივიდოდი, გზად ახალგაზრდა ქალი შემხვდა, თითქოს მორბოდა, თან უკან იხედებოდა. მერე, როცა მამაკაცები ვნახე, გზაზე გამოვედი და პირველივე მანქანის მძღოლს დახმარება ვთხოვე, მომეჩვენა, თითქოს ის ქალი შორი-ახლოს, ბუჩქებში იმალებოდა და იქიდან მაკვირდებოდა, თუმცა ამისთვის არ მეცალა, მომაკვდავების დახმარება მსურდა“, – თქვა მამაკაცმა და ისიც აღნიშნა, ფოტორობოტის შედგენას მოვახერხებ, ქალის სახე კარგად დავინახეო. ფოტორობოტის დახატვას ოთხ საათზე მეტი დასჭირდა და როცა გამომძიებელს ფურცელი წინ დაუდეს, გაოცებისგან პირი დააღო – ფურცლიდან გარდაცვლილი კრიმინალის საცოლის სახე უმზერდა. ის ერთ საათში დაეკავეს.

„დიახ, მე გადავწყვიტე საქმროსა და მისი მეგობრების დახოცვა და გული მწყდება, რომ მხოლოდ საქმრო მოკვდა. ვფიქრობდი, ცოლად გავყვები, ოჯახი მექნება-მეთქი. რომ დაიჭირეს, სამი წელი ველოდე, ციხეში ვუვლიდი. როცა გამოვიდა, პირობა მომცა, ძველი ცხოვრება დავივიწყე, ერთ თვეს ამოვისუნთქებ და მერე სამსახურს მოვძებნიო. მართლაც, იდეალურ მამაკაცად გადაიქცა, მაგრამ მერე ისინი გამოჩდნენ და ისევ დაიწყეს. მუდმივად მესმოდა მათი „გმირობების“ შესახებ, ისიც ვიცი, მილიციის თანამშრომლებს თანხას რომ უხდიდნენ და ისინი კიდევ ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ. როცა ვუთხარი, დავქორწინდეთ, ოჯახური ცხოვრება დაიწყე-მეთქი, იუარა, ქურდი უნდა გავხდე, რა დროს ცოლიაო? მერე მოხდა ის, რამაც თვალები საბოლოოდ ამიხილა. სახლში ვიყავი, მისი მეგობრები მოვიდნენ, ვუთხარი, ჩემი ქმარი სახლში არ არის-მეთქი, მე სულელი, ქმარს ვეძახდი. არა უშავს, დაველოდებითო და სამზარეულოში გავიდნენ, დალევა დაიწყეს, მე მეორე ოთახში წიგნს ვკითხულობდი. ასე, ერთ საათში გამოვიდნენ უკვე ნასვამები და ყოველგვარი მობოდიშებისა და შესავლის გარეშე, ტანსაცმელი შემომახიეს და რიგ-რიგობით გამაუპატიურეს. ამის შემდეგ წავიდნენ და ნახევარ საათში, ქმარიც დაბრუნდა. ვუთხარი, რაც მოხდა, სახე დალურჯებული მქონდა, ნაცემი ვიყავი. ვუთხარი, მილიციაში გამომყევი-მეთქი და იმან კიდევ დამიმატა, მილიციის ხსენება აღარ გაბედო, მე ქურდულად ვცხოვრობ და ყველაფერი, რაც გამაჩნია, საერთოა, ჩემი ძმაკაცებისაც არის. ვეტყვი, ასე აღარ მოგექცნენ, მაგრამ მილიციაში არ წახვალო. მაშინ მივხვდი, რომ მისთვის არათუ სულერთი, არამედ, არაფერი და არავინ ვიყავი. იმ დღეს, თავად ვთხოვე, მწვადის საჭმელად მეც წამოვალ, თან დალევა მინდა-მეთქი. საქმრომ კი იუარა, მაგრამ ძმა-ბიჭებმა იფიქრეს, იქაც გავერთობითო და სიხარულით წამიყვანეს. კიდევ ვიმეორებ, ვნანობ, რომ ის ორი გადარჩა“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, დაკავებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

ქალებს კლავდა, გვამებს ანაწევრებდა და მარხავდა

სერიული მკვლელობები, რომლებსაც საბჭოთა მილიცია მალავდა

რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით მეტი დანაშაული ხდება. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკაში, ყოველდღურად, ათასობით კრიმინალური შემთხვევა ფიქსირდებოდა, მაგრამ ხმამაღლა ამაზე არავინ საუბრობდა. მეტიც, მოსკოვის მოთხოვნა იყო, რომ რესპუბლიკებს ოფიციალურად ეღიარებინათ, დღის განმავლობაში, სამი-ოთხი წვრილმანი დანაშაული მოხდა, რადგან დასავლეთის თვალში, კომუნიზმი მიმზიდველი და საოცნებო ყოფილიყო. თავად განსაჯეთ, ათეულობით მკვლელობა, ყაჩაღობა, ძარცვა... ყველაფერი ეს იმალებოდა და სტატისტიკაში ქათმისა და ერთი ბოთლი არყის ქურდობას აფიქსირებდნენ, მერე ამ ცნობებს საერთაშორისო არენაზე ხმამაღლა კითხულობდნენ და ცდილობდნენ, მთელ მსოფლიოს დაეჯერებინა, რომ საბჭოთა კავშირი ყველაზე მშვიდობიანი ქვეყანა იყო. არადა, საბჭოთა კავშირს ჰყავდა სერიული მკვლელები, მხოლოდ ჩიკატილოს დასახელება რად ღირს, მაგრამ მაშინ, როცა ჩიკატილოს დასდევდნენ, იყო კიდევ ერთი, თითქოს მოუხელთებელი სერიული მკვლელი, მაგრამ მალე დააკავეს, აი, ჩიკატილო კი ბავშვებსა და ქალებს 12 წლის განმავლობაში ხოცავდა დაუნდობლად და მერე რა, რომ ერთხელ, როგორც ეჭვმიტანილი დააკავეს – ვერაფერი დაუმტკიცეს, გაუშვეს და გაშვების შემდეგ, კიდევ 20-ზე მეტი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს.

მაშ ასე, განგაშის ზარებს არხანგელსკში 1978 წელს შემოჰკრეს, როცა მშენებლობაზე ორი ქალის გვამი იპოვეს. პრინციპში, გვამი ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, იპოვეს სხეულის სხვადასხვა ნაწილები, ცალ-ცალკე დამარხული, დაჭრილი, დანაწევრებული. ორივე ქალის ვინაობა მალე დაადგინეს და სამართალდამცავებმა „ამოისუნთქეს“. ადგილობრივი მილიცია ამტკიცებდა, რომ ორივე ჩამოყალიბებული ლოთი გახლდათ, აღრიცხვაზე იყვნენ, არსად მუშაობდნენ და ამიტომ, მათი გარდაცვალება არხანგელსკში დიდ მწუხარებას არ გამოიწვევდა, არც პანიკა ატყდებოდა. როგორც ხშირად ხდებოდა (ახლაც ხშირია), ივარაუდეს, რომ ქალებმა ვინმესთან სასმელი ვერ გაიყვეს, ამის ნიადაგზე ისინი დახოცეს და შემდეგ დამარხეს. ამიტომ, ადგილობრივი ლოთების დაკავება-დაკითხვა დაიწყეს. მკვლელობა არავინ აღიარა, მაგრამ არაერთმა ლოთმა თქვა, ბოლო დროს, მაგ ქალებს თაყვანისმცემელი გამოუჩნდათ, საკმაოდ სიმპატიური მამაკაცი, რომელიც სასმელით ხშირად უმასპინძლდებოდა და ბოლოს, სახლშიც დაპატიჟაო. აი, სახლში დაპატიჟების შემდეგ, ისინი აღარავის უნახავს. ლოთების ჩვენების მიუხედავად, გამომძიებლებმა მკვლელის ძებნა, პრაქტიკულად, შეწყვიტეს და მოსახლეობაში გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ქალები სასმლის გამო დაწყებულ გარჩევას ემსხვერპლნენ.

ორ კვირაში, მილიციის განყოფილებაში ახალი შეტყობინება შევიდა – მშობლები ორ გოგონას ეძებდნენ, ორივე ტექნიკუმში, პირველ კურსზე სწავლობდა, ორივე ძალიან მოწესრიგებული იყო, ისინი სულ ერთად დადიოდნენ და განუყრელი მეგობრები გახლდნენ. ტექნიკუმიდან შინ მომავალი გოგონეები არაერთმა ადამიანმა დაინახა, მაგრამ... მათი კვალი კორპუსებთან იკარგებოდა. გამომძიებლები იხტიბარს არ იტეხდნენ, ამბობდნენ, გოგონები, ალბათ, გასართობად წავიდნენ, „ნაგულიაიუტსა ი პრიდუტ“, ასეთი იყო მათი პასუხი. გაუჩინარებიდან ათი დღის შემდეგ, გოგონების დანაწევრებული სხეულები გარეუბანში, მიტოვებულ ნანგრევებში ნახეს. ექსპერტიზის დასკვნით, ისინიც იმავე ბასრი საგნით იყვნენ დახოცილ-დანაწევრებულები, რითაც მანამდე, ლოთი ქალები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მკვლელი ერთი და იგივე პიროვნება იყო ანუ ქალაქში სერიული დამნაშავე ჰყავდათ. თუ ლოთების შემთხვევაში, ადგილობრივი მილიცია ადვილად გამოძვრა, ახლა იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ სასტიკი მკვლელი მართლაც არსებობდა.

ისე, ექსპერტიზის დასკვნაში ისიც ეწერა, გოგონების ორგანიზმში მცირე დოზით ალკოჰოლია აღმოჩენილი, სავარაუდოდ, სიკვდილის წინ, მათ სავარაუდოდ, ორ-ორი ყლუპი ღვინო დალიესო, თუმცა რამე დასაძინებელი ან სხვა პრეპარატი ორგანიზმში აღმოჩენილი არ ყოფილა. არადა, 1978 წელი იდგა, მშვიდი გარემო, თითქოს სამოთხედ ქცეული საბჭოთა კავშირი... არხანგელსკში მოსკოვიდან საგამოძიებო ჯგუფი მიავლინეს. პირველი, რაც ამ ჯგუფმა გააკეთა, მოხალისეთა გუნდი შექმნა, ე.წ. დრუჟინიკები, რომელიც ქალაქში მორიგეობდა და ყველა საეჭვო პირისთვის საბუთების შემოწმებისა და განყოფილებაში მიყვანის უფლებაც კი ჰქონდა. „დრუჟინიკების“ მონდომებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ადგილობრივმა მილიციამ ორი ძებნილი დააკავა, დანარჩენები კი... ჩვეულებრივი ლოთები, უსაქმურები, ხულიგნები... რეალურად, ქალაქი ახალი მკვლელობის მოლოდინში იყო და მანაც არ დააყოვნა – ამჯერად, მოკლული ამწეზე მომუშავე ქალი ნახეს. ისიც დანაწევრებული, ისიც მშენებლობაზე დაგდებული და... მის სხეულშიც ალკოჰოლის შემცველობა.

გამომძიებლებმა ივარაუდეს, რომ მკვლელი მსხვერპლს სასმელზე ეპატიჟებოდა და მერე კლავდა, მაგრამ თუ შუა ხნის ქალები ამაზე თანხმდებოდნენ, რისთვის დათანხმდნენ გოგონები? ისინი არც სასმელს ეტანებოდნენ, არც არასდროს დამთვრალან... ყოველი შემთხვევისთვის, სამ ოპერმუშაკ ქალს ხელში ალუბლის წვენით სავსე ღვინის ბოთლები მისცეს და ისინი ქალაქში ამ ბოთლებით მოძრაობდნენ, პერიოდულად სვამდნენ, აქაოდა, ვლოთობთო, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო.

სამაგიეროდ, მილიციაში მოქალაქე მოვიდა, რომელმაც თქვა, რომ მის ქალიშვილს მეტად სანდომიანი სახის მამაკაცი გამოელაპარაკა ქუჩაში, შინ დაპატიჟა მუსიკის მოსასმენად, აქაოდა, უცხოური მუსიკის ფირფიტები და უცხოური მაგნიტოფონი მაქვსო, თუმცა გოგონამ უარი უთხრა. კაცმა შვილიც თან მოიყვანა და გოგონა მორიდებით საუბრობდა, ეს არ არის პირველი შემთხვევა, ჩემთან გამოლაპარაკებას რომ ცდილობენ, ვერ ვხვდები, მამა ასე რატომ ღელავსო. მართლაც, გოგონა ძალიან ლამაზი იყო და არავის გაჰკვირვებია, რომ მის გაცნობას ცდილობდნენ, მაგრამ ახლა სხვა შემთხვევა იყო, ახლა მკვლელს ეძებდნენ და ყველას ამოწმებდნენ. ამიტომ, გოგონას ფოტორობოტი შეადგენინეს და უცხო მამაკაცის ძებნა დაიწყეს. ძებნა დიდხანს არ გაგრძელებულა, ერთ-ერთი უბნის ინსპექტორმა სიცილით თქვა, ეს ჩვენი მეგობარია, „დრუჟილნიკი“, ვლადიმერ ტრეტიაკოვი, რომელიც მუდმივად გვეხმარება და საკუთარ მოვალეობას პირნათლად ასრულებსო. მოსკოვიდან ჩამოსულმა მაძებრებმა ტრეტიაკოვის სამსახურიდან მისი პირადი საქმე გამოითხოვეს და ხელი ჩაიქნიეს – სანიმუშო მემონტაჟე, არასოდეს ყოფილა შემჩნეული კრიმინალში, არ სვამს, არ ეწევა, ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ 33 წლის ასაკში უცოლშვილოა. ყოველი შემთხვევისთვის, მას სამი დღის განმავლობაში უთვალთვალეს და დარწმუნდნენ, რომ ტრეტიაკოვი არაფრის გამფუჭებელი იყო, გოგონას გაცნობასაც მოუძებნეს გამართლება – უცოლშვილო კაცი ოჯახის შექმნაზე ფიქრობსო.

მალე კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა და როცა გარდაცვლილის ვინაობა გაირკვა, განყოფილებაში მისი მეგობარი მივიდა და განაცხადა, რომ დაინახა მამაკაცი, ვინც დაქალი გაიცნო და შინ დაპატიჟა. ქალმა არ იცოდა, ვინ იყო მამაკაცი, მაგრამ მისი აღწერა შეძლო, ხოლო როცა ტრეტიაკოვის ფოტორობოტი აჩვენეს, მან დაბეჯითებით თქვა – ეს არის! ეჭვმიტანილი სამსახურში აიყვანეს და ის დაკავებას ძალიან მშვიდად შეხვდა. პარალელურად, მოწმეების თანდასწრებით, მისი ბინის ჩხრეკა მიმდინარეობდა, საიდანაც სისხლიანი ნაჯახი და მოკლული ქალების პირადი ნივთები ამოიღეს. ისინი ტრეტიაკოვს კარადაში ჰქონდა შენახული. ცხადი იყო, სამართალდამცავებმა მკვლელის დაკავება შეძლეს, მაგრამ ყველაზე საინტერესო მიზეზი გახლდათ – რამ აიძულა, ერთი შეხედვით, სანიმუშო საბჭოთა მოქალაქე, რომ ასეთ სასტიკ დანაშაულს სჩადიოდა?

„7 წლის ვიყავი, დედ-მამა რომ დაშორდნენ. დედამ სმა დაიწყო, გალოთდა და შინ ათასი ჯურის ხალხი მოჰყავდა. გაყრის შემდეგ, საცხოვრებლად ერთოთახიან ბინაში გადავედით და თქვენ იცით, რას ნიშნავს, როცა ერთოთახიან ბინაში, დედა და მასთან ერთად, კიდევ 4-5 კაცი ლოთობს? იცით, რას აკეთებდნენ მას შემდეგ, რაც გაილეშებოდნენ? ყველაფერ ამას ვუყურებდი, რადგან გარეთ ვერ გავდიოდი, ღამეში, სიბნელის მეშინოდა. დილით სკოლაში გავრბოდი, თუმცა სკოლა მალე მთავრდებოდა და შინ მიწევდა დაბრუნება. საშველად მამას მივაკითხე, მითხრა, ხვალვე წაგიყვანო, მაგრამ როცა ჩემს წასაყვანად მოდიოდა, ავტომობილი დაეჯახა და გარდაიცვალა. მერე მეზობლებს ვთხოვე დახმარება და მათ შესაბამისი სამსახური გამოიძახეს. როგორ გგონიათ, რა მოხდა? მე ბავშვთა სახლში წამიყვანეს და იქ გავიზარდე. ამიტომ შემძულდნენ ლოთი ქალები და გადავწყვიტე, მათგან სამყარო თუ არა, ჩემი ქალაქი მაინც გამეთავისუფლებინა. რას ვერჩოდი იმ გოგონებს? ისინი შინ მუსიკის მოსასმენად დავპატიჟე, შემდეგ ღვინო შევთავაზე და დამთანხმდნენ. ასეთ ასაკში რომ სასმელს ადვილად იღებ, ადვილად თანხმდები, პოტენციური ლოთი ხარ. მე მათი მომავალი შვილები ვიხსენი“, – განაცხადა ტრეტიაკოვმა დაკითხვისას.

ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ტრეტიაკოვი ჯანმრთელი იყო და ფსიქიკური პრობლემები არ ჰქონდა. მას სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა და იმის მიუხედავად, რომ დაკავებულმა სასჯელის უმაღლესი ზომა გაასაჩივრა, არ დააკმაყოფილეს და ბედის ირონიით, 1979 წელს, ფერიცვალება დღეს, 19 აგვისტოს დახვრიტეს. წესით, მოსკოვში მყოფ ძალოვან ხელმძღვანელებს შვებით უნდა ამოესუნთქათ, მაგრამ არა – სწორედ 1978 წლიდან დაიწყო სერიული მკვლელობების ახალი ციკლი, რომელიც 12 წელს გაგრძელდა და საბოლოოდ, საბჭოთა „ჯეკ მფატრავად“ შერაცხული ანდრეი ჩიკატილოს დაკავებით დასრულდა.

ბათო ჯაფარიძე

რამდენიც უნდა ვამტკიცოთ, რომ ფულით ყველაფერს ვერ იყიდი, რეალურად, ფულით ძალიან, ძალიან ბევრ რამეს იყიდი, თითქმის ყველაფერს, მათ შორის, სიყვარულსაც. არ დაიწყოთ ახლა, ნამდვილი სიყვარული არ იყიდებაო. ჰო, სულ სიყვარულით გაგიჟებულები მიჰყვებიან 25 წლის მოდელები 80 წლის მილიარდერ კაცებს ცოლად და სულ სიყვარულით უკოცნიან სხეულს 25 წლის ბიჭები 80 წელს მიტანებულ „ბიზნესვუმენებს“. ამას გარდა, თითქოს, დიდი ხანია, მივეჩვიეთ, რომ მას, ვისაც ბევრი ფული აქვს, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ ეპატიება და ყველაფრის თუ არა, ბევრი რამის უფლება აქვს. ასეა, პრაქტიკულად, ყველგან და არც საქართველოა გამონაკლისი. ფულს მოაქვს გავლენა, გავლენას – ძალაუფლება, ძალაუფლებას – შესაძლებლობები.

რატომ დაბა გავლენიანი ადამიანის ვაჟმა შეყვარებული სარდაფში, ჯაჭვებით

კრიმინალი, რომლის გამოც გამომძიებელს უსაყვედურეს

„შვებულებიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, ისე მოხდა, რომ ივლისში დავისვენე და აგვისტო სამსახურში, ცხელ თბილისში უნდა გამეტარებინა. ცოლ-შვილი კი გავუშვი სოფელში, მაგრამ მე რა მეშველებოდა, მაგას ვფიქრობდი. სამუშაო დრო დასრულდა, სახლში წასვლა მეზარებოდა, თბილისური, საღამოს ხვატი იდგა, ორივე ფანჯარა ღია მქონდა კაბინეტში, მაგრამ ჰაერი არ იძვროდა. პერანგის ღილები ჯერ შევიხსენი, შემდეგ მთლიანად გავიხადე და ასე, წელს ზემოთ შიშველმა, კაბინეტში გადაადგილება დავიწყე, ეგებ, ცოტა გავგრილდე-მეთქი. ამ დროს, კარი გაიღო, ჯერ მორიგე შემოვიდა, მას კი ვიღაც ქალი შემოჰყვა. სასწრაფოდ ჩავისვი პერანგი, მაგრამ ქალის გაოცებული სახე მახსოვს, რადგან სავარაუდოდ უთხრეს, რომ განყოფილების უფროსთან მიდიოდა და ამ დროს ნახევრად შიშველი კაცი დახვდა ოთახში“, -იხსენებს მორიგ ისტორიას, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სანამ საუბარს დაიწყებდა, ქალი დაახლოებით ორი წუთი ოთახსა და მის პატრონს ათვალიერებდა, მერე ხელი ჩაიქნია, ხმადაბლა, მაგრამ გასაგონად ჩაილაპარაკა, სხვა გზა მაინც არ მაქვსო და დაიწყო.

„ქმარი ავარიაში დამეღუპა, ერთადერთი გოგონა შემრჩა, წვალებით გავზარდე, სულ კუდში დავდევდი და უმაღლესშიც მოეწყო. მიხაროდა, მეშველა-მეთქი, მაგრამ დაახლოებით, ერთი თვის წინ, შინ ვიღაც ბიჭმა მოაკითხა. როცა შვილს ვკითხე, ვინ არის-მეთქი, შეყვარებულიაო. არაფერს მიმალავდა და არც ეს დაუმალავს. პირველი, რაც არ მომეწონა, ბიჭის ცოტა თავხედური ტონი იყო, აშკარად ეტყობოდა ყველაფერზე, რომ შეძლებული ოჯახიდან გახლდათ, ამ ლაწირაკს მანქანაც კი საკუთარი ჰყავდა. მერე გავიგე, ერთ-ერთი ქარხნის დირექტორის შვილი იყო. ჩემს გოგოსაც ვუთხარი, ეგებ, შეეშვა, არ ვართ მაგის დონის-მეთქი, მაგრამ იუარა, ძალიან მიყვარს და მისგანაც იგივეს ვგრძნობო. დაახლოებით, ერთი კვირის წინ, შინ ვიღაც ქალი მესტუმრა, მითხრა, შენს გოგოს უთხარი, იმ ბიჭს თავი დაანებოს, ჩემს შვილსაც თავს ევლებოდა, მერე კი სასტიკად სცემა და მიატოვა, სამართალი ვერ ვიპოვე, არანორმალურიაო. მერე გავიკითხე, ხომ იცით, ქალაქში არაფერი იმალება და გავიგე, რომ კიდევ ერთი შემთხვევა იყო, როცა მასთან ურთიერთობის გამო, ერთ-ერთმა გოგონამ თავის მოკვლა სცადა და მამამისმა თოკიდან ჩამოხსნა. შვილს ვთხოვე, შეეშვი-მეთქი, თუმცა არ დამიჯერა და მესამე დღეა, შინ არ მოსულა. განგაში ავტეხე, ვის აღარ მივმართე, რომ ეშველათ, მაგრამ არავის არაფერი აინტერესებს. მეუბნებიან, ეგებ, გაიპარაო, შენთან ცხოვრება აღარ უნდოდაო. იმ ბიჭსაც მივადექი, მაგრამ ხელი აიქნია, მე რა ვიცი, შენი შვილი სად დადის, რამდენიმე დღეა, დავშორდიო. არადა, ვიცი, რომ მან გააქრო და ახლა ვფიქრობ, ხომ არ მომიკლა“, – განაცხადა ქალმა.

ბატონმა თენგიზმა კარგად იცოდა, ვისთან მოუწევდა ჭიდაობა და რა გავლენა ჰქონდა ბიჭის მამას. მან იცოდა ბევრად მეტი, ვიდრე ქალმა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ თუ საქმეს დაიწყებდა და ბოლოში გავიდოდა, ბიჭისთვის ხელის დაფარებას ვერც მამა შეძლებდა. ამიტომ, ქალს განცხადების დაწერა მოსთხოვა და საქმეს შეუდგა.

პირველი, რაც გამომძიებელმა გააკეთა, წინა დაზარალებულების მშობლები მოინახულა. ნაცემი გოგონას დედა ისევ ბოლო ხმაზე კიოდა, სწორედ მან გალახა ჩემი შვილი, მაგრამ სამართალს ვერ მივაღწიეო, თავის ჩამოხრჩობა რომ სცადა, იმ გოგონას მამამ მხრები აიჩეჩა, რა ბიჭი, რის ბიჭი, ჩემი გოგო თავად ვერ იყო ფსიქიკურად კარგად, ახლაც საავადმყოფოშია, ცდილობენ, სუიციდის მცდელობის დროს დაზიანებული კისრის მალები და ხორხი აღუდგინონო. ეს ძალიან გასაკვირი იყო, რადგან პირველ ჩვენებაში გოგოს მამა ჯიუტად იმეორებდა, იმ ბიჭმა დამიღუპა შვილი, თორემ თვითმკვლელობამდე არ მივიდოდაო. მედპერსონალთან საუბრის შემდეგ, მეტ-ნაკლებად, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. გოგონას ძვირადღირებული მკურნალობა სჭირდებოდა, წამლები, რომლებიც აქ არ იშოვებოდა და ყველაფერი ეს, უზარმაზარი ფული ჯდებოდა და მამა ამ თანხას იხდიდა. გამოდიოდა, რომ ფულს გოგოს კი არა, ბიჭის მამა იხდიდა, სანაცვლოდ, კაცმა საჩივარი გაიტანა და ჩვენება შეცვალა.

ბიჭი დაკითხვაზე უწყებით გამოიძახეს, თუმცა ის განყოფილებაში არ მივიდა, მის ნაცვლად ადვოკატი გამოცხადდა და განაცხადა, რომ მისი კლიენტი ბევრს კითხულობს და მილიციაში სიარულის დრო არ აქვს, ამიტომ თუ დაკითხვა სურდა, გამომძიებელი მათთან სახლში უნდა მისულიყო, რათა ბიჭს... გზაში კითხვისთვის განკუთვნილი დრო არ დაეკარგა. ზემდგომებმა ბატონ თენგიზს „ურჩიეს“, რომ დაკთხვაზე თავად წასულიყო.

„რა თქმა უნდა, ეს შეურაცხმყოფელი იყო და ამით ეჭვმიტანილის მამამ თავისი ძალა მაგრძნობინა. რა უნდა მექნა? რეალური სამხილი არ მქონდა, მაგრამ ინტუიცია მეუბნებოდა, რომ სამივე დანაშაული სწორედ იმ ბიჭის ჩადენილი იყო და ახლა მხოლოდ იმას ვნატრობდი, დაკარგული გოგონა მკვდარი არ ყოფილიყო, თორემ ისე გადამალავდა, შეიძლებოდა, გვამი ვერასდროს მეპოვა. ცემის ფაქტი გამოძიებული და დახურული იყო, ბიჭი – გამართლებული, თვითმკვლელობის ფაქტზე კი, გოგონას მამა ამბობდა, ბიჭი არაფერ შუაშიაო ანუ მომჩივანიც კი არ მყავდა, ამიტომ სახლში ვეახელი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბიჭმა, მამისა და ადვოკატის თანდასწრებით, განაცხადა, რომ გაუჩინარებული გოგოს შესახებ არაფერი იცოდა და მას გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე დაშორდა, რადგან თურმე, გოგონა მზად არ იყო ქორწინებამდე ურთიერთობისთვის ანუ მას არ ენდობოდა. გამომძიებელი გაწბილებული გაბრუნდა უკან, მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ უფრო დარწმუნდა, რომ საქმე ნამდვილ დამნაშავესთან ჰქონდა, მაგრამ როგორ დაემტკიცებინა დანაშაული? ამიტომ, მისი გარემოცვის, სამეგობროს შესწავლა დაიწყო. სამეგობროში ყოველთვის არსებობს ვიღაც, ვინც ჩუმად, თავისთვის ვერ გიტანს, შურს, მთელი არსებით სძულხარ, მაგრამ რაღაცის გამო, მაინც შენს გვერდითაა. სწორედ ასეთი „მეგობარი“ უნდა ეპოვა გამომძიებელს და მიაგნო კიდეც, მაგრამ... ბევრი არც მან იცოდა. სამაგიეროდ, გამომძიებლისგან დავალება მიიღო, თუ რამე უცნაურობას შენიშნავ, მაშინვე მითხარიო. ჰოდა, სწორედ მეგობარმა თქვა, რამდენიმე დღეში, აგარაკზე მოუხშირა სიარულს, დღე არ გავა, იქ რომ არ ავიდეს, მაგრამ ყოველთვის მარტო დადის, თან არავინ ახლავსო. გამომძიებელი მიხვდა, რომ ეს ერთადერთი შანსი იყო და ამიტომ, როცა ბიჭმა აგარაკზე წასვლა დააპირა, უკან გაჰყვა. იქ მისულმა კი დაინახა, როგორ გადმოვიდა ბიჭი მანქანიდან, როგორ ამოიღო ცელოფნით რაღაც და როგორ შევიდა არა აგარაკის ეზოში, არამედ, ავტოფარეხში. გამომძიებელმა კარს ყური მიადო.

„იქიდან საუბრის ხმა გამოდიოდა, ყრუ, ჩუმი, მაგრამ მაინც ხმა. ამიტომ, ბევრი არ მიფიქრია, იარაღი ამოვიღე და შევვარდი. ავტოფარეხს ქვევით, სარდაფივით ოთახი ჰქონდა, კარიც კი ჰქონდა ოთახს, სწორედ იქ იყვნენ ბიჭი და ჯაჭვით კედელზე მიბმული გოგო. ჩემს დანახვაზე ბიჭი ჯერ გაოცდა, შემდეგ გაიღიმა, მაინც არაფერი გამოგივაო და წასვლა დააპირა, მაგრამ ბორკილები დავანახე. ხელი ამიკრა და რომ დამემორჩლებინა, იარაღის ტარი გამოვიყენე“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სწორედ ამ იარაღის ტარის გამოყენების გამო, გამომძიებელს საყვედური პირად საქმეში შეტანით გამოუცხადეს, არ იყო საჭირო ასეთი ძალით ჩარტყმაო, მაგრამ გოგონას დედა არ ჩუმდებოდა, არც გოგო იხევდა უკან და ბატონი თენგიზი მოხსნას სწორედ ამან გადაარჩინა. დანარჩენ ორ შემთხვევაზე, ბიჭს მაინც ვერაფერი დაუმტკიცეს, ამაზე კი... პირობითი სასჯელი შეუფარდეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს კიბერუსაფრთხოების აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გაეროს პროექტების მომსახურების ოფისმა (UNOPS) ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, კიბერუსაფრთხოებისთვის განკუთვნილი თანამედროვე აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა გადასცა.

აღჭურვილობის გადმოცემა პროექტის – „ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში განხორციელდა, რომელიც „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE)“ ინიციატივის ნაწილია.

აღჭურვილობის გადმოცემის ცერემონიას შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თეიმურაზ კუპატაძე, ევროკავშირის წარმომადგენლობის პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილე კატალინ გერმანი და და UNOPS-ის წარმომადგენლები დაესწრნენ.

კიბერდანაშაულთან ბრძოლისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის სწრაფი იდენტიფიცირების, მტკიცებულებების შეგროვების და ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. თანამედროვე აღჭურვილობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კიბერდანაშაულის გამოძიების შესაძლებლობებს, რაც თავის მხრივ, დანაშაულის გამოვლენასა და აღკვეთას შეუწყობს ხელს.

ევროკავშირი აქტიურად განაგრძობს საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერას. აღნიშნული პროექტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2020 წლიდან მიმდინარეობს. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს უსაფრთხოების სექტორის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ტურისტული სეზონისთვის მზადაა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 2023 წლის ზაფხულის სეზონისთვის მზადაა. ბათუმში, ტურისტული სეზონისთვის მზადყოფნას სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი პირადად გაეცნო და მაშველებს წარმატება უსურვა.

სეზონის გახსნის ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილეები, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, გამოფენილი იყო როგორც სახმელეთო, ასევე, საზღვაო სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა. ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ, ადგილზე მოეწყო წყალზე სამაშველო ოპერაციის სიმულაცია, რომელშიც პირად შემადგენლობასთან ერთად სპეციალური ტექნიკა იყო ჩართული.

შინაგან საქმეთა მინისტრი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, მარკ კლეიტონთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის, ევროკავშირსა და ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში დამყარებულ წარმატებულ პარტნიორულ ურთიერთობებზე ისაუბრეს.

შეხვედრის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერებას და საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს საზღვაო შენაერთებისა და ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული საპორტო ვიზიტების მნიშვნელობას, ასევე, ხაზი გაესვა მხარეებს შორის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში არსებულ ეფექტიან თანამშრომლობას.

ელჩმა დადებითად შეაფასა მიმდინარე წლის იანვარში „საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას შეუწყობს ხელს.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა მარკ კლეიტონს მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში აქტიური მხარდაჭერისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, ნახატების კონკურსი გამოაცხადა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან პარტნიორობითა და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგების თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ნახატების კონკურსი გამოაცხადა.

ნახატების კონკურსში მონაწილეობის წესები და პირობები:

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, 12-დან 18 წლამდე;
- საკონკურსო ნამუშევრები შინაარსობრივად უნდა პასუხობდეს კონკურსის თემას;
- გამოგზავნილ წერილში აუცილებელია მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, ნახატის სათაური და მისი მოკლე აღწერა;
- კონკურსის ვადის დასრულების შემდგომ, ჟიურის წევრები გამოავლენენ სამ საუკეთესო ნამუშევარს, რომლებსაც გადაეცემათ ჯილდო;
- თემასთან და მითითებულ პირობებთან არსებითად შეუსაბამო, უცენზურო, დისკრიმინაციული, ძალადობის შემცველი საკონკურსო ნამუშევრები, ასევე, ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამება ზოგადმორალურ და ეთიკურ პრინციპებს, არ მიიღება;
- თითოეულ კონკურსანტს უფლება აქვს, წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ნახატი;
- ნახატის შესრულების ტექნიკა და ზომა შეზღუდული არ არის (არ მიიღება ელექტრონულ მოწყობილობაში შექმნილი ნამუშევარი);
- მონაწილემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნახატი, ინტერნეტში მოძიებული ნახატი კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს;
- წარმოდგენილ ნახატზე საავტორო უფლებები უნდა ეკუთვნოდეს კონკურსანტს. სამინისტრო არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა, წამოაყენონ რაიმე სახის (ქონებრივ, არაქონებრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული) პრეტენზია გამოქვეყნებულ ნახატთან დაკავშირებით;
- კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას, მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებასა და კამპანიაში;
- კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას და სამინისტროს გადასცემს უფლებას, მის მიერ გადმოგზავნილი ნახატი შემდგომში გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ;
- გაცნობებთ, რომ საკონკურსო ნამუშევრის გამოგზავნით, კონკურსანტი ავტომატურად ეთანხმება კონკურსის პირობებს;
- საკონკურსო ნამუშევრები მიიღება 2023 წლის 25 ივნისის ჩათვლით.
- კონკურსთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაგვიკავშირდით:

სოფიო ჩოხელი – ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი – 551 740007, ან მოგვწერეთ ელ.ფოსტაზე: adamianisuflebebi@mia.gov.ge

კონკურსის მონაწილეები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით:

- რამდენად პასუხობს ნამუშევარი კონკურსის თემატიკას;
- რამდენად ორიგინალური და შემოქმედებითია ნაშრომი.

კონკურსის შედეგად, გამოვლინდება სამი გამარჯვებული, რომლებსაც გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატი და ფასიანი საჩუქრები.

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

გთხოვთ, ნახატები გამოაგზავნოთ დასკანერებული სახით, ელექტრონულ ფოსტაზე – adamianisuflebebi@mia.gov.ge

ასევე, შესაძლებელია ნამუშევრების გამოგზავნა ფოსტის საშუალებით, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ორთაჭალა, გ. გულუას ქუჩა №10 (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი). ფოსტით გამოგზავნის შემთხვევაში, ნამუშევრების მოწოდება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2023 წლის 25 ივნისისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს ნახატის ორიგინალი ვერსიის გადმოგზავნა.

კვარაცხელია სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია

ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ტოპ-5 ჩემპიონატის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ქართველი დასახელდა. ხვიჩა კვარაცხელია სერია A-ს 2022-23 წლების საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ეს უშუალოდ იტალიური სერია A-ს არჩევანია.

კვარა, საფეხბურთო სეზონის განმავლობაში, სამჯერ დაასახელეს ტურის საუკეთესო ფეხბურთელად და სიმართლე გითხრათ, ეს საუკეთესოობისთვის სერიოზული განაცხადი იყო. ახლა, რა გამოკითხვაც არ უნდა ჩატარდეს, რომელმა გამოცემამაც არ უნდა დაწეროს საუკეთესოს შესახებ, ან საკუთარი ვერსია შემოგვთავაზოს, ასი წლის შემდეგაც ყველას ეცოდინება, რომ 2022-23 წლებში, სერია A-ს საუკეთესო ფეხბურთელი, ქართველი ხვიჩა კვარაცხელია გახდა.

სანიოლმა შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევრო-2024-ის შესარჩევი ეტაპისთვის მზადება დაიწყო. ვილი სანიოლის გუნდი 17 ივნისს, ლარნაკაში, თემურ ქეცბაიას გაწვრთნილ კვიპროსს შეხვდება, 20 ივნისს კი გლაზგოში, შოტლანდიას დაუპირისპირდება. ეროვნული გუნდის თავკაცმა, ვილი სანიოლმა, ამ მატჩებისთვის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა.

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), გიორგი ლორია („ანორთოსისი“, კვიპროსი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი“, აზერბაიჯანი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), სოლომონ კვირკველია („ნეფთჩი“, აზერბაიჯანი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“, იტალია), გიორგი გველესიანი („პრესეპოლიცი“, ირანი), ლაშა დვალი („აპოელი“, კვიპროსი), ჯიმი ტაბიძე („დინამო“ თბილისი), ირაკლი აზაროვი („ცრვენა ზვეზდა“, სერბეთი), გიორგი გოჩოლეიშვილი („შახტარი“, უკრაინა);

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი („ლეხი“, პოლონეთი), ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი (ორივე „დინამო“ ბათუმი), ლევან შენგელია („პანეთოლიკოსი“, საბერძნეთი), ლუკა გაგნიძე („დინამო“ მოსკოვი, რუსეთი), საბა ლობჟანიძე („კარაგუმრუკი“, თურქეთი), გიორგი ჩაკვეტაძე („სლოვანი“, სლოვაკეთი), ზურიკო დავითაშვილი („ბორდო“, საფრანგეთი);

თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე („მეცი“, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), ბუდუ ზივზივაძე („კარლსრუე“, გერმანია), გიორგი ქვილითაია („აპოელი“, კვიპროსი).

21-წლამდელები ევროპისთვის ემზადებიან

მოგეხსენებათ, საქართველო ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატს მასპინძლობს და შეიძლება ითქვას, დიდი ახალგაზრდული საფეხბურთო ზეიმი გველოდება. გულშემატკივარს ის აინტერესებდა, მოახერხებდნენ, თუ არა ის ფეხბურთელები 21-წლამდელთა ნაკრებში თამაშს, რომლებიც ახლა ეროვნულ გუნდში არიან გამოძახებული და კვიპროსისა და შტლანდიის ნაკრებებთან წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადებიან.

როგორც ახალგაზრდული გუნდის თავკაცმა, რამაზ სვანაძემ განაცხადა, ეროვნული გუნდიდან ის ხუთ ფეხბურთელს დაიმატებს და ისინი გუნდს ჯგუფურ ეტაპზე, მეორე ტურის წინ, 22 ივნისს შეუერთდებიან. რაც შეეხება დანარჩენებს. სვანაძემ საბოლოო, 23-კაციანი განაცხადი 16 ივნისს უნდა წარადგინოს, მანამდე კი ნაკრებისთვის მზადებას 21-წლამდელი 35 ფეხბურთელი გაივლის. 21 ივნისს, ჩემპიონატს პორტუგალიასთან მატჩით ვხსნით. მაშ ასე, სვანაძის გაფართოებული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), ლუკა კუტალაძე („დინამო“, თბილისი), ლევან თანდილაშვილი („თელავი“), ნოდარ ყალიჩავა („სამგურალი“);

მცველები: ცოტნე კაპანაძე, ივა გელაშვილი, ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა (ყველა „საბურთალო“), გიორგი გოჩოლეიშვილი („შახტარი“, უკრაინა), სანდრო კალანდაძე, საბა ხვადაგიანი, გიორგი მაისურაძე (ყველა „დინამო“ თბილისი), მათე აბულაძე („სამტრედია“), ირაკლი აზაროვი („ცრვენა ზვეზდა“, სერბეთი), საბა საზონოვი („დინამო“ მოსკოვი, რუსეთი);

ნახევარმცველები: ოთარ მამაგეიშვილი, გიზი მამაგეიშვილი, შოთა ნონიკაშვილი (ყველა „საბურთალო“), გიორგი წიტაიშვილი („ლეხი“, პოლონეთი), ნიკა ხორხელი, ლუკა ხორხელი, ნოდარ ლომინაძე (ყველა „სამგურალი“), გაბრიელ სიგუა, გიორგი მოისწრაფიშვილი, ანზორ მექვაბიშვილი (ყველა („დინამო“ თბილისი), ნიკა გაგნიძე („დილა“), ლუკა გაგნიძე („დინამო“ მოსკოვი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო“, საფრანგეთი), გიორგი ლომთაძე („გაგრა“), ცოტნე ფაცაცია („შუქურა“);

თავდამსხმელები: გიორგი გულიაშვილი („სარაევო“, ბოსნია), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), გიორგი გაგუა („რეალ უნიონი“, ესპანეთი), გიორგი მიქაუტაძე („მეცი“, საფრანგეთი), გიორგი კვერნაძე („დინამო“ ბათუმი), ლადო ჩიხრაძე („სამგურალი“).

„სევილიამ“ რეკორდი დაამყარა

რანგით მეორე ევროპული საკლუბო ტურნირი ისევ „სევილიამ“ მოიგო. ისევ იმიტომ, რომ „დალაქებმა“ ამ ტურნირზე (ევროპა-ლიგა, უეფას თასი) ფინალში მეშვიდედ ითამაშეს და მეშვიდედ იმარჯვეს, რაც რეკორდული მაჩვენებელია. ცნობისთვის, მხოლოდ ხუთ კლუბს აქვს მოგებული „სევილიაზე“ მეტი ევროთასი – „რეალს“ – 16, „ბარსელონას“ – 12, „მილანს“ – 9, „ლივერპულს“ – 9 და „ბაიერნს“ – 8.

ესპანურმა კლუბმა ფინალში ჟოზე მაურინიოს „რომას“ მოუგო. არადა, სამწვრთნელო კარიერაში პორტუგალიელმა სპეციალისტმა კლუბი ფინალში მეექვსედ გაიყვანა და წინა ხუთ შემთხვევაში, გამარჯვებული გამოდიოდა. სამაგიეროდ, „სევილიას“ თავკაცი ხოსე ლუის მენდილიბარი გახდა ყველაზე ასაკოვანი მწვრთნელი, რომელმაც ევროთასის მოგება მოახერხა – ის ფინალის დღეს 62 წლის და 78 დღის იყო.

„ნაპოლი“ მწვრთნელის გარეშე დარჩა

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ლუჩანო სპალეტი „ნაპოლის“ დაემშვიდობა. სპეციალისტმა, რომელმაც ნეაპოლელებს ჩემპიონის ტიტული მოაგებინა, კონტრაქტით დარჩენილი ერთი წლის გატარება კლუბში აღარ ისურვა და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, გუნდს დაემშვიდობა. ამბობდნენ, რომ მწვრთნელმა აურელიო დე ლაურენტისს ხელფასის გაზრდა მოსთხოვა, მან კი უარი განაცხადა. მეორე მხრივ, სპალეტი „ნაპოლიში“ 4.5 მილიონს იღებდა და იტალიური მედია ამტკიცებდა, მის ნაცვლად, დე ლაურენტისს ლუის ენრიკე მოჰყავს, რომელსაც 8 მილიონი უნდა უხადოსო. რეალურად, ფული არაფერ შუაშია, სადაც ლუის ენრიკესთვის გაიმეტებდა 8 მილიონს, იქ მოქმედ ჩემპიონ სპალეტისაც მისცემდა 6 მილიონს (ლუჩანო სწორედ ამდენს ითხოვდაო). სავარაუდოდ, ძაღლის თავი სხვაგანაა დამარხული. კულუარებში ამბობენ, რომ დე ლაურენტისს ჩემპიონი ფეხბურთელების ძვირად გაყიდვა და ახალი მოთამაშეების მოყვანა სურს ანუ მომავალ სეზონში, „ნაპოლი“ საშუალო დონის კლუბი იქნება და სპალეტიმაც წასვლა ამიტომ არჩიაო.

თავის მხრივ, დე ლაურენტისი ამტკიცებს, არავის ვყიდი, პირიქით, ძლიერ მოთამაშეებს ვიმატებ, მომავალ წელს, ჩემპიონთა ლიგას ვუმიზნებო, თუმცა უკვე წასულია კიმ მინ ჯე, ჩემოდნებზე ზის ვიქტორ ოსიმენი, ხვიჩა კვარაცხელიას ძერებივით დასტრიალებენ თავზე და რეალურად, ამ სამეულისა და გუნდის კაპიტნის, ჯოვანი დი ლორენცოს მხრებზე გადაიარა ჩემპიონობამ. წესითა და რიგით, ყველაფერი მიმდინარე თვის ბოლომდე უნდა გაირკვეს, რადგან ახალმა მწვრთნელმა ივლისიდან გუნდის ვარჯიში უნდა დაიწყოს, მანამდე კი, სავარჯიშო პროგრამა და პირობებია შესათანხმებელი, შეკრებაა დასაგეგმი და ეს ერთ-ორ კვირაში არ ხდება.

ახალგაზრდა მორაგბეებმა ინგლისი დააჩოქეს

შესაძლოა, ვინმეს სათაური არ მოეწონოს, რატომ დააჩოქესო, მაგრამ სწორედ ეს სიტყვა შეესაბამება იმას, რაც ავჭალის სარაგბო სტადიონზე მოხდა. დავიწყოთ იმით, რომ 20-წლამდელი მორაგბეებისთვის ეს მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მოსამზადებელი ტესტ-მატჩები გახლდათ. ინგლისელებს მუნდიალის წინ განწყობის გამოკეთება სურდათ და საქართველოშიც დიდი იმედებით ჩამოვიდნენ.

პირველი შეხვედრა ჩვენმა ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში, 36:41 წააგო და მართალია, ინგლისელებს ხმამაღლა არ უთქვამთ, მაგრამ დაიქადნეს, ქართველების სუსტი მხარეები გავიგეთ და მეორე ტესტ-მატჩში გავანადგურებთო. მართლაც, მეორე შეხვედრა მათი სრული უპირატესობით დაიწყო და ბრიტანელები წინ 14:0 გავიდნენ. მაშინ, როცა სტუმრებს ეგონათ, რომ ასტრონომიული ანგარიშით მოგვიგებდნენ, ჩვენმა ბიჭებმა იძალეს და ტაიმის ბოლოს, ტაბლოზე ინგლისელთა სასარგებლოდ 24:21 ენთო. მეორე ნახევარში ჩვენი გუნდი აშკარად უკეთ თამაშობდა და საბოლოოდ, 40:38 მოვიგეთ. შედეგად, სამხრეთ აფრიკაში გასამართ მსოფლიო პირველობაზე, ლადო კილასონიას შეგირდები აშკარად კარგ ხასიათზე წავლენ.

მადა ჭამაში – მიქაუტაძე 20 მილიონად დაფასდა

საფრანგეთის მეორე დივიზიონის ბომბარდირი, აღნიშნული დივიზიონის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული გიორგი მიქაუტაძე კლუბიდან წასვლას რომ აპირებს, კარგად მოგეხსენებათ. მისი გადაბირება იტალიურ „მილანს“, ინგლისურ „ბარნლისა“ და „ვულვზს“ სურთ. ჰოდა, თუ ორიოდე კვირის წინ, ფრანგები ამბობდნენ, რომ ქართველ ფორვარდს 10 მილიონად შეელეოდნენ, ახლა ის 20 მილიონად დააფასეს. საინტერესოა, რომ სამივე კლუბი მზადაა, 20 მილიონი ევროც გადაიხადოს. მიქაუტაძის ასაკისა და საგოლე ალღოს გათვალისწინებით, გრძელვადიან პერსპექტივაში ის ძალიან კარგი შენაძენია.

შეგახსენებთ, რომ „ბარნლიმ“ პრემიერ-ლიგის საგზური ცოტა ხნის წინ მოიპოვა, „ვულვზმა“ პრემიერ-ლიგაში ადგილი შეინარჩუნა, „მილანი“ კი... მომავალ წელს, „როსონერი“ ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს და თავდასხმაში გაძლიერებას სერიოზულად ფიქრობს.

მესის წამში 19 დოლარს სთავაზობენ

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საფეხბურთო სამყარო გადაირია. ზოგადად, დიდი ხანია, ფეხბურთი რიგითი სპორტის ფარგლებს გასცდა, მაგრამ ის, რასაც ახლა საუდის არაბეთის კლუბი – „ალ ჰილალი“ აპირებს, არაფერში ჯდება. გუნდის მფლობელი შეიხი მზადაა, ლიონელ მესის წლიურ ხელფასად 600 მილიონი დოლარი გადაუხადოს და რაც მთავარია, ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს ანუ მთლიანობაში, არგენტინელს 1.2 მილიარდი მისცეს. სანამ დეტალებზე გადავალთ, მოდით, უბრალოდ დავიანგარიშოთ, რას ნიშნავს წელიწადში 600 მილიონი დოლარი? ეს არის დღეში 1 643 835 დოლარი, ხოლო წამში 19 დოლარი. მარტივად რომ ვთქვათ, მესი 7 წამში იმაზე მეტს მიიღებს, ვიდრე ქართველი პენსიონერი – თვის განმავლობაში. არგენტინელს „პსჟ“-თან მოქმედი კონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრდება და მის გაგრძელებას აღარ აპირებს. ლეოს დაბრუნება „ბარსელონასაც“ სურს, თუმცა არაბეთიდან იმდენად მომხიბვლელი წინადადება მიიღო, ძალიან, ძალიან დიდხანს მოუწევს ფიქრი და ყველაფრის აწონ-დაწონა. მით უმეტეს, რომ ლეო 35 წლისაა და უმაღლეს დონეზე ბურთს დიდხანს ნამდვილად ვეღარ გააგორებს. ამასთან, „ალ ჰილალის“ მფლობელმა ისიც თქვა, ვინც ლეოს ჩემს კლუბში გადმოსვლაში დაარწმუნებს, 100 მილიონს ვუფეშქაშებო. ჰოდა, რა გასაკვირია, არაბეთში ფეხბურთელის მამა რომ გაემგზავრა.

გიორგი სისაური

სამი მოთხრობა

ჩემი თვალით დანახული რუსული აგრესია

თუ სიმართლე გაინტერესებთ, ამის გახსენება არ მინდა. არ მინდა კიდევ ერთხელ გავიხსენო და განვიცადო ის, რაც სულ რაღაც ორი წლის წინ მოხდა. ძალიან მიჭირს ამის გაკეთება. მარტო სიტყვა ‘ომი~ მზარავს, მძულს და ამას ვერასდროს შევეგუები, მაგრამ ჩვენ, ადამიანებს, არა მარტო ქართველებს, არამედ საერთოდ – მთელ კაცობრიობას იმედი უნდა გვქონდეს იმისა, რომ სიკეთე აუცილებლად გაიმარჯვებს. ამისთვის კულტურული ადამიანების ყველა ძალა, რომელთათვისაც ძვირფასია კაცობრიობის სიკეთე, კულტურული და სულიერი ფასეულობანი, უნდა გაერთიანდნენ და დაიცვან მსოფლიო ნგრევისაგან. ჩვენ უნდა შევძლოთ ეს: ამ ჯოჯოხეთური ომის სამყაროში ვიპოვოთ იმედისა და სიკეთის ნაპერწკალი და გავაღვიოთ ის.

მე არასდროს დამავიწყდება ომი რუსებისა საქართველოს წინააღმდეგ. არ დამავიწყდება ის ნაღვლიანი, ცრემლიანი, ტკივილიანი სახეები, რომელიც ჩემი თვალით ვნახე. ამ ქვეყანა – ურჩხულს ჩვენი პატარა მზე – ქვეყანა ამოუჩემებია და მისი გადაყლაპვა უნდა. შეიძლება ტერიტორია გვაქვს პატარა, მაგრამ კულტურა და სულიერება გვაქვს დიდი. თუ რუსებსაც გააჩნიათ კულტურა და სულიერება, არ მესმის, როგორ შეუძლიათ ჩაიდინონ ის, რაც ჩაიდინეს: როგორ შეუძლიათ აყურებინონ მშობელ დედას შვილის წამება, სიკვდილი და მეტიც მისი თვალი გადააყლაპონ, როგორ შეუძლიათ გარდაცვლილი სხეულები გააუპატიურონ, აყურებინონ მშობლებს, როგორ უწვავენ ცოცხლად შვილებს... განა ესენი ადამიანები არიან? რუსებმა დაანახეს მთელ დანარჩენ მსოფლიოს, რომ ისინი ბნელი ძალების მონები არიან და მათი მხედართმთავრები და პრეზიდენტები – ლუციპერისგან ხელდასმული მსახურები.

დიდი ხანია ნათქვამია, რომ ხმლის ამღები ხმლითვე კვდება. მიუხედავად იმისა, რომ რუსების ნახევარს კარგად ახსოვს მეორე მსოფლიო ომით მიყენებული მრავალი საშინელება, რომელმაც სამყარო მახვილითა და ცრემლით წალეკა და ქვეყანას მილიონობით მოკლული და დასახიჩრებული დაუტოვა, არცერთმა რუსმა ხმა არ ამოიღო საქართველოს დასაცავად. არც კი ვიცი რომელი უფრო დიდი უგუნურებაა: შიში თუ სილაჩრე?!

სახელმწიფო რომ ფულით ეხმარება დაზარალებულებს, ეს ხომ ვერ დაუბრუნებს მათ შვილებს, დაქვრივებულებს მათ საყვარელ ადამიანებს?! ღმერთო, რატომ მოხდა ეს ჩვენს ქვეყანაში?! იმიტომ ხომ არა, რომ ამ ომის შემდეგ ყველას ჩაეხედა სულის სარკეში და გაეცა პასუხი მხოლოდ ერთ კითხვაზე – ვის და რას ემსახურებიან? ამ კითხვაზე პასუხი გასაცემი აქვს ყველა ქვეყნის შვილებს, მთელი კაცობრიობის ყოველ ადამიანს, პრეზიდენტებიდან დაწყებული უბრალო მოქალაქემდე!

პირადად მე და ჩემი მეგობრები სიკეთის მხარეზე ვართ. გვწამს, რომ საქართველო გამთლიანდება, რომ წყვდიადი სინათლით შეიცვლება. ეს სინათლე აქ, საქართველოში აინთება და აქედან განივრცობა მთელ სამყაროში, ამას ჩვენ განაკეთებთ და იცით ეს საიდან ვიცი? ჩვენ ახალი თაობა ვართ და ჩვენ ‘ჩვენ~ ვართ.

ჩვენ სამყარო ომის გარეშე გვინდა.

მოლოდინი

ჩვენ იქ ვიყავით. ჩვენი სახლის გვერდით მდებარე სახლში ერთი ძალზე უცნაური კაცი ცხოვრობს. რაღაც დიდი საძაგელი სახელი აქვს, კაცს გულითაც რომ გინდოდეს, მაინც ვერ დაიმახსოვრებ, იმხელაა. წლოვანებით დიდი არის, ასე სადღაც ოთხმოცდაშვიდის თუ იქნება ან ცოტა ნაკლების. დიდი ხანია რაც ამ კაცს ვიცნობ და რაც თავი მახსოვს, ცხოვრება სულ მოლოდინში გაატარა. საყვარელი ადამიანის მოლოდინში. თუ დაგაინტერესათ ამ ამბავმა, მოგიყვებით უფრო ვრცლად, უფრო სევდიანად, ხანაც მხიარულად. მოკლედ, როგორც გითხარით ეს კაცი ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ძმასთან და მის ცოლთან ერთად. თუ ამ კაცის დახასიათება დავიწყე, დღის ბოლომდე ვერ მოვრჩები, მაგრამ ერთ – ორ სიტყვას მაინც გეტყვით: სპორტული კაცია, ყოველ დღე დილით ადრე იღვიძებს, გარეთ გამოდის და ერთ ფინჯან ჩაის მიირთმევს, ხანაც მეორეს. უყვარს ფერები, განსაკუთრებით კი ბეჟი, თითქმის სულ ამ ფერის ტანსაცმელი აცვია. ჩაის დალევის შემდეგ იქვე დაკიდებულ რკინაზე ერთი – ორ აზიდვას გააკეთებს და შევა სახლში. სახეზე ნაღვლიანია, ეს თვალებზეც ეტყობა, მაგრამ მის გარეგნობაში ყველაზე მეტად ჭაღარა მომწონს, ხშირი და თეთრი, თოვლივით ქათქათა ჭაღარა, რომელიც მის ასაკს უსვამს ხაზს.

ყველაფერი კი ძალზე ადრე დაიწყო, მაისის შუა რიცხვები იყო, მზიანი ამინდი, სასიამოვნო ნიავი, ეს კაცი კი მასთან ერთად იყო. ღმერთო, ასეთი სილამაზე არასდროს მენახა: მაღალი, შავთმიანი, ზურმუხტისფერთვალებიანი ქალი, რომელიც არაფრისმთქმელი გამომეტყველებით შესცინებდა მას. ცოტახანში ცა შეიკრა, ძლიერმა ქარმა დაუბერა, მომღიმარი სახეები სერიოზულში გადავიდა. მერე გოგომ წერილი გადასცა, რომელიც ვარდისფერ კონვერტში იდო, შემოტრიალდა და ნელი ნაბიჯებით წავიდა. ამის მერე ის აღარ გამოჩენილა...

ამასწინათ კი ვხედავ ამ კაცს სახლთან კიბეზე ჩამომჯდარს, ხელში გადაცრეცილი და დაძიძგნილი ვარდისფერი კონვერტი ეჭირა, და მომღიმარი სახით უყურებდა მას. რა ეწერა ამ წერილში ისეთი, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება მოლოდინში გაატარა. იქნებ არაფერიც არ ეწერა, იქნებ უბრალოდ სტრიქონების ნაცვლად, სამი უდიდესი რამ იყო, ის რაც ცხოვრებაში ყველაზე ფასეულია: იმედი, სიყვარული და ერთგულება. არ ვიცი! მაგრამ ის ვიცი, ის დავინახე, რომ ეს კაცი ელოდებოდა მას. მოლოდინში იყო იმისა, რომ ის მაინც გამოჩნდებოდა, ის ერთადერთი სიყვარული.

ბაჩი...

... ვზივარ ახლა და ვიხსენებ იმ მოსაგონარს, რომელიც უნდა გადმოვცე ჩემი ერთი მუჭისოდენა გულიდან. გული გადასცემს ჩემივე ხელებს, ხელები კი ერთი – ორი მოძრაობის და კალმის ერთი – ორი მონასმით მოხატავს იმ ჯადოსნურ სიტყვათა კრებულს, რომელიც გულის ვარდისფერი კედლის მიღმიდან მოედინება. ღმერთო, ეს რაღაც ზღაპარს ჰგავს. ამ სიტყვებს მერე გინდა მონატრება დაარქვი, გინდა სიყვარული და გინდაც უსაშველო სინანული.

მერე ვინმე სულიერი წაიკითხავს მათ. შეიძლება გაეცინოს ან თუნდაც ცრემლი მოერიოს. მაგრამ, ვის რაში სჭირდება ეს ცარიელი, ფუჭი სიტყვები, რომელიც ვერასდროს ვერ გამოხატავს ნამდვილ განცდას. გასაოგნებელია პირდაპირ... ცარიელი, ფუჭი სიტყვები... ამ სიტყვებს დღეს უკვე მეოთხედ ვამბობ და თუ კი ვინმე შემეკითხება, თუ რატომ ვამბობ ასე ხშირად ამ სიტყვებს, იგივეს ვიტყვი: ცარიელი, ფუჭი სიტყვები ვერ გამოხატავენ რეალობას. ეს ცხოვრებაც ფუჭი და ცარიელია, ყოველგვარ სიყალბეზე აგებული.

მაგალითად, გაიხედავ ქუჩაში და დაინახავ ასობით პატარა ბავშვს. მერე უცებ დაფიქრდები და იტყვი: ღმერთო, რამდენი ხანი არის საჭირო იმისათვის, რომ ისინი სრულწლოვანნი გახდნენ, რამდენი წვალება დაჭირდება მშობლებს მათ სწორ გზაზე დასაყენებლად, რომ არ გადაუხვიონ შემდგომ ამ სწორ და ვიწრო გზას, რომელიც ბოლოს ‘ზენოუბანში~ ანუ ზესკნელში – ღმერთთან ადის. რამდენი ამაგი და სიფრთხილეა საჭირო... ან მანქანა არ დაეტაკოს, ან სადმე არ გადავარდეს, ანდა სულაც არ გაცივდეს.

აი, უკვე რამდენი ფუჭი და არაფრისმთქმელი სიტყვა დავწერე და ამანაც ცრემლი მომფინა სახეზე.

გამახსენდა ჩემი ერთი პატარა კლასელი ბაჩი, რომელსაც თოთხმეტისთვისაც არ მიეღწია, ისე წავიდა ჩვენგან და სამუდამოდ დატოვა ეს პატარა, მაგრამ ამავდროულად უსაშველოდ დიდი წუთისოფელი. ღმერთო, ახლაც კი თვალწინ მიდგას მისი ბავშვური სახე და არანორმალურად მომხიბლავი ღიმილი. დღესაც კი ჩამესმის ყურში მისი ნამღერი სიმღერები. განსაკუთრებით ‘შავლეგო~ დამამახსოვრდა და მისი შავი ჩოხა. ხანდახან ვესაუბრები კიდეც მას არარეალურ რეალობაში და ისე აღვიქვავ, როგორც ჩემი და კიდევ 29 ბავშვის პატარა, უმცროს ძმად, მიუხედავად იმისა, რომ ის სიცოცხლეში დედისერთა იყო.

მახსოვს, ძალიან ნათლად, რაღაც ღონისძიების წინა მოსამზადებელი რეპეტიციები. ზუსტად არ მახსოვს, რა ღონისძიება იყო. ჰოდა, ერთხელაც, რუსულის გაკვეთილი იყო. მე ჩემი ფანდური მქონდა თან. მე და ბაჩიმ გაკვეთილზე დავიწყეთ სიმღერა. რუსულის გაკვეთილზე დასწრება არცერთს არ გვინდოდა და მთავარი მიზეზი იმისა, რომ გაკვეთილზე ავმღერდით, სწორედ ეს იყო. ძალიან ვხალისობდით. ეს ამბავი ყველაზე კარგად დამამახსოვრდა მასთან ერთად გატარებული დროის მანძილზე. საკლასო ოთახში მის სურათს რომ გავხედავ ხოლმე, ვრწმუნდები დედაჩემის სიტყვებში: ბაჩი სიყვარულს და სიკეთეს ასხივებდაო.

ეჰ, ძალიან მაკლიხარ, ბაჩი. ღმერთია მოწმე...

იმ იდუმალ რეალობაში ცისფერი მდინარე მოედინება. აუღელვებლად, მაგრამ ძალიან სწრაფად. სწორედ ამ მდინარესთან ვნახულობ მათ სულებს, ვინც ძალიან მიყვარდა, მათ შორის ბაჩისაც. ჩვენ პირველ რიგში არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი სამყაროდან მეორეში აგრძელებ სიცოცხლეს და არა აქვს მნიშვნელობა – სად ხარ: ზესკნელში თუ აქ, დედამიწაზე. მთავარია არ დავივიწყოთ ისინი და ხშირად ვესაუბროთ. არ დავივიწყოთ, რომ მათ ჩვენი ყოველთვის ესმით. ისინი ყოველთვის ცოცხლობენ ჩვენს გულებში.

ხელოვნური კანი შექმნეს

ამერიკელმა სწავლულებმა სტენფორდის უნივერსიტეტიდან, ხელოვნური კანი შექმნეს, რომელიც ტაქტილურ შეგრძნებებს ელექტრულ სიგნალად გადააქცევს და მას ტვინს გადასცემს. მეცნიერები აპირებენ, მომავალში, ის ადამიანების პროთეზებში გამოიყენონ. ელასტიური ხელოვნური კანი დაბალ ძაბვაზე – 5 ვოლტზე მუშაობს, რაც უსაფრთხოა ადამიანის სხეულისთვის. კანის ასეთი თვისებები მისმა რთულმა შემადგენლობამ განაპირობა. მასალების სამი ფენიდან ერთ-ერთი, სინთეტიკური კაუჩუკია. ყოველი ფენა მინიატურულ სენსორებს შეიცავს, რომლებიც ამოიცნობენ კანზე შეხებას, ტემპერატურასა და გაჭიმვას. სენსორებიდან მიღებულ სიგნალებს ტრანზისტორები ელექტროიმპულსებად გარდაქმნიან და საბოლოოდ, ტვინისკენ წარმართავენ. სწავლულებმა ხელოვნური კანის ეფექტიანობა მღრღნელებზე გამოსცადეს. შედეგები მეტად დამაიმედებელი აღმოჩნდა.

ოთახის ყვავილები კიბოს წინააღდეგ

ოთახის მცენარეები შენობებში, ეფექტიანად აქრობენ ბენზინის ტოქსიკურ ორთქლს, რომელიც სიმსივნეს იწვევს, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიელი სწავლულები, ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად. ოთახის ყვავილები რამდენიმე საათში აქრობენ ჰაერში არა მხოლოდ ყველაზე უფრო მავნე დამაბინძურებლებს, არამედ, კანცეროგენულ ბენზოლსაც. ის უფრო მალე ქრება, ვიდრე სხვა, მავნე ნივთიერებები. ასევე, აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტი ტოქსინია ჰაერში, მით უფრო სწრაფად და ეფექტიანად მოქმედებენ მცენარეები, – აცხადებს კვლევების წამყვანი მეცნიერი. ექსპერიმენტების შედეგად გაირკვა, რომ ოთახის რამდენიმე მცენარისგან შემდგარმა მწვანე კედელმა ჰაერიდან ყველაზე ტოქსიკური ნივთიერებების 97% რვა საათში გააქრო. დაბუნძურებული ჰაერი შენობებში მოქმედებს ადამიანის, როგორც ფიზიკურ, ასევე, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ბენზოლის შესუნთქვა, რომელიც ოთახში გარედან ხვდება, იწვევს ტავის ტკივილს, ფილტვების გაღიზიანებას, დიარეის შეგრძნებას, ასთმასა და ონკოლოგიურ დაავადებებს.

მობილურის საპოვნელად წყალსაცავი დააშრო

ინდოეთში, საჯარო მოხელემ საკუთარი მობილური ტელეფონის წყლიდან ამოსაღებად წყალსაცავი დაცალა. საკვების ინსპექტორ რაჯეშ ვიშვასს, „სამსუნგის“ ფირმის 1200-დოლარიანი ტელეფონი, ხერხატას წყალსაცავში, სელფის გადაღებისას ჩაუვარდა. თავდაპირველად მოხელემ მყვინთავები დაიქირავა და მის გაჯეტს ისინი ეძებდნენ, თუმცა მოგვიანებით, ვიშვასმა ადგილზე სატუმბი მანქანა მიიყვანა და წყალსაცავიდან 2 მილიონ ლიტრამდე წყალი ამოტუმბა, რისთვისაც მას სამი დღე დასჭირდა. საჯარო მოხელე ირწმუნებოდა, რომ მობილურში მნიშვნელოვან ინფორმაციას ინახავდა და მისი ამოღება აუცილებელი იყო. ამის მიუხედავად, ვიშვასი სამსახურიდან გაათავისუფლეს და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულეს. აღმოჩნდა, რომ წყლიდან ამოღებული ტელეფონი აღარ შეკეთდება...

ალ პაჩინო მეოთხე შვილს ელოდება

უცხოური გამოცემების ინფორმაციით, ჰოლივუდის 83 წლის ვარსკვლავი ალ პაჩინო და მისი შეყვარებული ნულ ალფალაჰი საერთო შვილს ელოდებიან. ეს ინფორმაცია მსახიობის წარმომადგენლებმა The Hollywood Reporter-ს დაუდასტურეს. ალ პაჩინოს მეგობარი ქალი ორსულობის მერვე თვეშია, ის 29 წლისაა და წარმოშობით ქუვეითიდანაა. თუმცა, ლოს-ანჯელესში გაიზარდა და წარმატებული კინოპროდიუსერი გახდა. ნურმა და „ნათლიას“ ვარსკვლავმა ურთიერთობა გასული წლის აპრილში დაიწყეს. გამოცემების ცნობით, გოგონა მანამდე, ასევე, ასაკოვან მიკ ჯაგერს ხვდებოდა (მუსიკოსი ახლა 79 წლისაა), რომანი ჰქონდა 61 წლის მილიონერთან, ნიკოლას ბერგრუენთან. იმასაც ამბობენ, რომ ნურის ურთიერთობა ჰქონდა 93 წლის კლინტ ისტვუდთანაც, თუმცა ალფალაჰის თქმით, ჰოლივუდის ლეგენდა, უბრალოდ, მისი ოჯახის მეგობარია. აღსანიშნავია, რომ ალ პაჩინო მამა მეოთხედ გახდება. მას უკვე ჰყავს 33 წლის ქალიშვილი, ჯული და 22 წლის ტყუპები – ანტონი და ოლივია.

საწოლში წოლისთვის ფულს გადაგიხდიან



ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ 12 მოხალისე უკვე შეარჩია, რომლებიც 60 დღის განმავლობაში საწოლში იწვებიან, თან ფეხებს, თავთან შედარებით, 6 გრადუსით მაღლა შემოაწყობენ. ამ მდგომარეობაში მათ უნდა იკვებონ, შხაპი მიიღონ და ტუალეტშიც იარონ. იმის გამო, რომ სისხლი თავს მიაწვება, არასაკმარისი გამოყენების გამო, კუნთებიც დასუსტდება და სხეულის მდგომარეობაც შეიცვლება. სააგენტოს ექსპერიმენტი კოსმოსში ასტრონავტების ყოფნის იმიტაციაა. მოხალისეებს სამ ჯგუფად დაყოფენ. პირველი ჯგუფის წევრები ველოტრენაჟორზე პედლებს დაატრიალებენ, მეორენი – ცენტრიფუგაში იტრიალებენ, მესამე ჯგუფის წევრები კი, უბრალოდ, სულ დასვენებულები იქნებიან. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, თითოეული მონაწილე ჯილდოდ 18 ათას ევროს მიიღებს.

საკუთარი გული მუზეუმში იხილა

ინგლისელმა ჯენიფერ სატონმა, რომელიც ქალაქ რინგვუდში ცხოვრობს, ლონდონის მუზეუმში ექსკურსიისას, ექსპონატებს შორის, საკუთარი გული ნახა. მედიის ცნობით, ქალმა დონორის გული 16 წლის წინ გადაინერგა. 38 წლის სატონის თქმით, საკუთარ გულთან შეხვედრამ განსხვავებული გრძნობები აღუძრა. „მან 22 წლის სიცოცხლე მაჩუქა“, – ამბობს ჯენიფერი. ბრიტანელს უიმედო დიაგნოზი, რესტრუქციული კარდიომიოპათია, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაუსვეს. ამ პათოლოგიის გამო, მას სრულფასოვანი ცხოვრება არ შეეძლო და მცირედი ფიზიკური დატვირთვაც კი მისთვის ძალიან საშიში იყო. 16 წლის წინ, ტრანსპლანტაციამ მას ახალი სიცოცხლე აჩუქა. ოპერაციამდე, სატონმა ქირურგიის სამეფო კოლეჯს ნება დართო, მისი გული ლონდონის მონადირეთა მუზეუმში – HUNTERIAN MUSEUM გამოეფინათ.

გასაახალგაზრდავებლად შვილის სისხლი გადაისხა

45 წლის ამერიკელმა მილიარდერმა, პროგრამისტმა ბრაიან ჯონსონმა, რომელიც დღეგრძელობის საიდუმლოს ამოხსნას ცდილობს, გასაახალგაზრდავებლად საკუთარი, 17 წლის ვაჟის სისხლი გადაისხა. როგორც გამოცემა Bloomberg-ი წერს, სისხლის კომპონენტების გადასხმის პროცედურა დალასის მახლობლად მდებარე კერძო კლინიკაში ჩატარდა. რამდენიმე საათის განმავლობაში, 17 წლის ტაილერისგან ერთი ლიტრი სისხლი აიღეს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროცედურა ჯონსონის 70 წლის მამასაც ჩაუტარდა – მისთვის სისხლი თავად ბრაიანმა გაიღო. გამოცემის ცნობით, სისხლის პლაზმა პროგრამისტმა რამდენჯერმე გადაისხა, მაგრამ ანონიმური დონორებისგან. მილიარდერმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მარადიული ახალგაზრდობისთვის, ყოველწლიურად, ორ მილიონ დოლარს ხარჯავს ექიმებსა და ყოველდღიურ სამედიცინო პროცედურებზე.

მუზეუმი ერთი ექსპონატისთვის

ბულგარეთის ქალაქ კაზანლიკში, მუზეუმი მხოლოდ ერთი ნახატისთვის გაიხსნა. ეს ცხნობილი მხატვრის, ივან მილევის „ახინორაა“. გასული საუკუნის დასაწყისში, ეს ნამუშევარი ქალაქის მუნიციპალიტეტს, 29 წლის ავტორის გრიპით გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე აჩუქეს. მილევი ბულგარული მოდერნის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია, აკვარელითა და ტემპერით ხატვის დიდოსტატი. გარკვეული პერიოდი ის დამდგმელ მხატვრად მუშაობდა სახალხო თეატრში, წიგნების ყდებს აფორმებდა, ხატავდა ფრესკებს მდიდრების სახლებში, „ახინორა“ კი 1925 წელს დახატა. ვინ არის გამოსახული მასზე, ზუსტად არავინ იცის. ერთ-ერთი ვერსიით, ის ანა ოროზოვაა – ვარდის ზეთით მოვაჭრის ცოლი. ვარაუდობენ, რომ მას მხატვართან ჰქონდა ურთიერთობა. კაზანლიკის მუზეუმი მსოფლიოში ერთადერთია, რომელიც მხოლოდ ერთ ექსპონატს ეძღვნება. ერთი ნახატის მუზეუმში არის პენზაშიც, თუმცა იქ მორიგეობით, სხვადასხვა ნამუშევრები გამოაქვთ.

სრული სიბნელე კიბოს წინააღმდეგ

ღამით სრული სიბნელე, ნებისმიერი სახის განათების, მათ შორის, ღამის სანათურებისა და მონიტორების ეკრანების შუქის არარსებობა, სარძევე ჯირკვლების კიბოს მკურნალობას ხელს უწყობს. აღმოჩნდა, რომ მელატონინი, რომელიც ღამის შუქის ზემოქმედებით, პაციენტის ორგანიზმში გამომუშავდება, აფერხებს იმ პრეპარატების ზემოქმედების ეფექტიანობას, რომლებსაც სიმსივნის მკურნალობისას იყენებენ. ასეთ დასკვნამდე ტიულეინის უნივერსიტეტის სწავლულები მივიდნენ. ეს მონაცემები ლაბორატორიულ მღრღნელებზე ჩატარებული გამოკვლევებით მიიღეს, რომლებიც მკერდის კიბოთი დააავადეს. ექსპერიმენტის დასაწყისში, მათ დღისითი, 12 საათით სრულ სიბნელეში ამყოფებდნენ, ღამით კი 12 საათით – ანთებულ შუქში. მეორე ეტაპზე, დღისით სინათლეში იყვნენ, ღამით – სრულ სიბნელეში. აღმოჩნდა, რომ ღამის შუქი იწვევს სიმსივნის მკვეთრ ზრდას, ეგრეთ წოდებული, ღამის მელატონინის გამომუშავების გამო, პრეპარატი ტამოკსიფენი კი, პრაქტიკულად, წყვეტს მუშაობას. არადა, დღის მელატონინი მკურნალობაზე არ ახდენდა გავლენას. მეცნიერთა განცხადებით, ღამით მელატონინის მაღალი დონე ხელს უწყობს სარძევე ჯირკვლების სიმსივნის ახალი უჯრედების წარმოქმნას. იმისთვის, რომ ავთვისებიანი წარმონაქმნების ზრდის ტემპები შემცირდეს, პაციენტი ღამით სრულ სიბნელეში უნდა იმყოფებოდეს.

ზურგის ტკივილის ეპიდემია გველის

ექსპერტებმა ამერიკიდან და ავსტრალიიდან დაასკვნეს, რომ 2050 წლისთვის, ჩვენს პლანეტაზე, დაახლოებით, 800 მილიონ ადამიანს შეაწუხებს ზურგის ტკივილი. მათი კვლევის შედეგები ჟურნალში The Lancet Rheumatology გამოქვეყნდა. კვლევის ავტორებმა, მსოფლიოს 204 ქვეყნის წარმომადგენელთა 1990-2020 წლებში არსებული მონაცემები გააანალიზეს და შედეგად, ზურგის ან წელის ტკივილის ჩივილების მქონე პაციენტების დინამიური რუკა შეადგინეს. სწავლულებმა დაადგინეს, რომ 2017 წლიდან, შემთხვევების რაოდენობამ ნახევარ მილიარდს გადააჭარბა. 2020 წელს, ზურგის ტკივილებით უკვე 610 მილიონი ადამიანი იტანჯებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე ხშირად, ეს დაავადება სუსტი სქესის წარმომადგენლებს აღენიშნებათ. მიღებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდა პროგნოზირების მოდელი, რომლის მიხედვითაც, 2050 წლისთვის, ასეთი ჩივილების მქონე ადამიანთა რაოდენობა თითქმის 50%-ით გაიზრდება. ყველაზე მეტი შემთხვევა კი აზიასა და აფრიკაში დაფიქსირდება. ზურგის ტკივილით 843 მილიონი ადამიანი დაზარალდება, ძირითადად, მოსახლეობის რაოდენობის მატებისა და დაბერების გამო.

„ფასტფუდი“ ნაწლავების დაავადებას იწვევს

კვების მავნე პროდუქტები და ანტიბიოტიკები სულ უფრო ზრდის ახალგაზრდა ადამიანების რაოდენობას, რომელთაც კრონის დაავადება – საჭმლის მომნელებელი სისტემის საშიში სენი სჭირთ. ამჟამად, ამ დაავადების გამო ჰოსპიტალიზაცია სამჯერ მეტ ახალგაზრდას სჭირდება, ვიდრე ათი წლის წინ. კრონის დაავადება საკვების მომნელებელი ტრაქტის ანთებას იწვევს. ის ხელს უწყობს ხშირ დიარეას, ტკივილს მუცლის არეში, დაღლილობასა და სისხლდენას. პაციენტებს ნაწლავების მიკროფლორა ძლიერ აქვთ შეცვლილი. დაავადებას ვერ კურნავენ და ხშირად, ის ადრეულ ასაკშივე ვლინდება. რაც შეეხება მავნე პროდუქტებს, რაც განსაკუთრებით მდიდარია ცხოველური, ან ნაჯერი ცხიმებით, ჯერჯერობით, მათსა და კრონის დაავადებას შორის პირდაპირი კავშირი არ დადეგნილა, თუმცა სპეციალისტები თანხმდებიან, რომ გარე ფაქტორები უფრო ართულებენ ამ დაავადებისადმი მიდრეკილი ადამიანების მდგომარეობას. ამაში არასწორ კვებასაც საკუთარი „წვლილი“ შეაქვს.

8 000 ნაბიჯი სიკვდილის რისკს ამცირებს

იაპონელმა და ამერიკელმა სწავლულებმა, კიოტოსა და ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტებიდან, დაადგინეს, რომ თუ ადამიანი კვირაში რამდენჯერმე მოიწყობს აქტიურ დღეებს და დღეში 8 000 ნაბიჯს გაივლის, ეს 15%-ით შეამცირებს ნაადრევი სიკვდილის რისკს. კვლევის ავტორებმა 2005-2006 წლებში, 3100 ზრდასრულის ფიზიკური აქტივობის მონაცემები გააანალიზეს, მერე კი ათი წლის შემდგომ, გაეცნენ სიკვდილიანობის სტატისტიკას. აღმოჩნდა, რომ ვინც კვირაში ერთი ან ორი დღე გადიოდა 8000 ნაბიჯს (დაახლოებით, 6.4 კილომეტრი), მათთან 14.9%-ით ნაკლები იყო სიკვდილის ალბათობა შემდგომი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე მათთან, რომლებმაც ვერ შეძლეს ამდენი სიარული. გარდა ამისა, ადამიანებს, რომლებიც კვირაში სამი-შვიდი დღე გადიოდნენ ამ მანძილს, ნებისმიერი მიზეზით გარდაცვალების რისკი კიდევ უფრო დაბალი – 16.5% ჰქონდათ.

მეგობრების რიცხვი თავის ტვინზე მოქმედებს

ბევრ ადამიანთან ურთიერთობა თავის ტვინის იმ ზომას ადიდებს, რომელიც სოციალურ ქცევაზეა პასუხისმგებელი, – დაადგინეს ბრიტანელმა მეცნიერებმა, ოქსფორდის უნივერსიტეტიდან. საერთო იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ტვინი სოციალური გარემოსა და სოციალური უნარების მიხედვით ეწყობა, – ასე ხსნიან სწავლულები. მათ წინასწარი, პატარა კვლევა ჩაატარეს 27-დან 70 წლამდე ასაკის 18 მოხალისეზე. ისინი გამოკითხეს, რამდენ მეგობარს ეკონტაქტებოდნენ ერთი თვის განმავლობაში, კვლევების წინ. მეგობრების რაოდენობა ათიდან ორმოცამდე მერყეობდა. მკვლევარები შეეცადნენ, სოციალური კონტაქტის ნებისმიერი ფორმა გაეთვალისწინებინათ: პირადი, სატელეფონი, თუ ელექტრონული. მათ მოხალისების ტვინების სკანირებაც ჩაატარეს და გაარკვიეს, რა აქვთ საერთო ერთმანეთის მსგავსი სოციალური ცხოვრების მქონე ადამიანებს. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მათ, რომლებსაც ბევრ ადამიანთან ჰქონდათ კონტაქტი, თავის ტვინის რამდენიმე სფერო უფრო დიდი ჰქონდათ და ტვინის სხვა ნაწილებთანაც მეტი კავშირი ჰქონდათ, ვიდრე იმ ადამიანებს, რომლებიც შედარებით ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. აქედან მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ტვინის გარკვეული ნაწილი ზომა ინდივიდის ცხოვრების წესს უკავშირდება. თუმცა, სწავლულები ამის დამტკიცებას ვერ ახერხებენ, რადგან შესაძლოა, ეს პირიქითაც იყოს – სწორედ ტვინის ზომა იყოს ადამიანის კონტაქტურობის განმსაზღვრელი.

განგრენის საწინააღმდეგო წამალი შექმნეს

სპეციალისტებმა ისრაელის კომპანია Atox Bio-დან, რომელიც მძიმე ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატებს აწარმოებს, 23 მილიონი დოლარი მიიღო ახალი წამლის – AB103 გამოსაცდელად. ეს პრეპარატი რბილი ქსოვილების ნეკროტულ ინფექციებს უნდა შეებრძოლოს. მასშტაბური კლინიკური გამოცდები მომავალი წლიდან დაიწყება. წამალი იმუნომოდულატორია და პეპტიდებისგან შედგება, რაც განსაკუთრებულად მოქმედებს. პრეპარატი ცვლის ადამიანის იმუნიტეტს ისე, რომ არ აფერხებს მის აქტიურობას. თუ ცდების შედეგად წამალი დამტკიცდება, ის ათასობით ადამიანს მისცემს შანსს, სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეინარჩუნოს. რბილი ქსოვილების ნეკროტულ ინფექციებს სხვადასხვა მიკროორგანიზმები იწვევენ. მისი დიაგნოსტირება რთულია: გარეგნულად ის მხოლოდ პატარა წყლულის სახით ჩნდება. ინფექციის ძირითადი ფორმები ბაქტერიული, სტრეპტოკოკური განგრენა, ან ნეკროტული ფასტიციიტია.

რძე გახდომაში დაგეხმარებათ

ამერიკელი მკვლევარები გვირჩევენ, წონაში დასაკლებად, დღეში ორი ჭიქა რძე დავლიოთ. სწავლულების განმარტებით, ეს მეთოდი ორგანიზმს არავითარ პრობლემას არ უქმნის. სპეციალისტებმა კვლევა 40-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცებსა და ქალებზე ჩაატარეს და ორი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ექსპერიმენტში მონაწილე ყველა პირი ზედმეტ წონას უჩიოდა. ორწლიანი დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მოხალისეები გახდნენ, ამასთან, მათ ჯანმრთელობას არავითარი საფრთხე არ შექმნია. რძის საშუალებით დაკლებას ფასეული მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისთვის. ექიმები განმარტავენ, რომ წონაში კლების პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს, ადამიანის ორგანიზმს კი სტრესისგან იცავს, ცხიმებს წვავს და კანიც ლამაზად გამოიყურება.

შიმშილობა იმუნურ სისტემას აღადგენს

აშშ-ს სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარები მოულოდნელ დასკვნამდე მივიდნენ – აღმოჩნდა, რომ რეგულარული, მაგრამ შეზღუდული პერიოდებით შიმშილობა (მხოლოდ ოთხ დღემდე) აღადგენს ადამიანის იმუნურ სისტემას. მეტიც, ამ დროს, სისხლში ლეიკოციტების დონე მატულობს. ასეთი შიმშილობა განსაკუთრებით ეფექტიანი შეიძლება იყოს დასუსტებული იმუნიტეტის მქონეთათვის, მაგალითად, სიმსივნით დაავადებულთათვის. საკვებზე დროებით უარის თქმა, ასევე, ქიმიოთერაპიის გვერდითი ეფექტების ნიველირებას ახდენს. შიმშილობისას, ღეროვანი უჯრედები ლეიკოციტების პროდუცირებას ახდენენ და მთელ იმუნურ სისტემას აღადგენენ. ეს კი იმის გამო ხდება, რომ შიმშილის პირობებში, სხეული ცდილობს, შეინახოს ენერგიის მაქსიმალური რაოდენობა. ამ პროცესის „გვერდითი ეფექტი“ ძველი, სუსტი და დაზიანებული იმუნური უჯრედების თავიდან მოშორებაა. აღსანიშნავია, რომ ადრე სპეციალისტები კატეგორიულად უკრძალავდნენ შიმშილობას ავადმყოფებს, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. კიბოთი დაავადებული პაციენტების გარდა, ხანმოკლე შიმშილობა ხანდაზმული ადამიანებისთვისაც სასარგებლოა.

საბანკო ბარათი ვარჯიშისთვის დაგაჯილდოვებთ

ამერიკულმა გამაჯანსაღებელმა კომპანიამ – Paceline, უჩვეულო საბანკო ბარათი Visa Signature Peceline გამოუშვა, რომელიც მის მფლობელებს ფიზიკური აქტივობისთვის დაასაჩუქრებს. მაგალითად, თუკი საბაზო „ქეშბექი“ ბარათზე 1.5%-ს შეადგენს, მისი გაორმაგება შესაძლებელი იქნება კვირაში 150-საათიანი ვარჯიშებით. ვარჯიშის ინტენსივობა მიმაგრებულია კლიენტის ანგარიშზე, სპეციალური აპლიკაციისა და სმარტ-საათების მეშვეობით, რომელსაც ადამიანის ფიზიკური დატვირთვის რეგისტრირება შეუძლია. კომპანია Visa Signature Paceline-ის კლიენტებისთვის არ აწესებს შეზღუდვას ვარჯიშების სახეობებში. საკმარისია, რომ მომხმარებელს კვირაში, არანაკლებ 150 საათის განმავლობაში, პულსი გახშირებული ჰქონდეს.

ხრწნად პლასტმასს შექმნიან

ხრწნადი პლასტმასი, შესაძლოა, არსებული მასალის ალტერნატივად იქცეს. სწავლულები ისრაელიდან, იმ მიკროორგანიზმებიდან მიღებულ პოლიმერზე მუშაობენ, რომლებიც ზღვაში ბინადობენ. ეს პოლიმერები მიკროორგანიზმებისგან იქმნებიან, რომლებიც შემდგომ საკვებად გადაიქცევიან, რადგან ზღვის წყალმცენარეებს წარმოადგენენ, – აცხადებენ მკვლევარები. ეს მასალა შეგვიძლია გამოვიყენოთ ტანსაცმლის, კონტეინერებისა და საკვები პროდუქტების შესაფუთი მასალის დასამზადებლად. სწავლულთა თქმით, ბიოპლასტმასის წარმოება საკმაოდ იაფი იქნება – კილოგრამი, დაახლოებით, ერთი დოლარი დაჯდება.

შაქრის დღიური დოზა 2 ჭიქა ღვინოა

ბრიტანელმა მკვლევარებმა Alcohol Health Alliance-დან დაადგინეს, რომ შაქრის მაქსიმალური, დღიური დოზის მისაღებად საკმარისია, ადამიანმა დღეში მხოლოდ ორი ჭიქა ღვინო მიირთვას. დამოუკიდებელი ლაბორატორიის სპეციალისტებმა, ნისლიან ალბიონზე, ცნობილი ბრენდების წითელი, თეთრი, ვარდისფერი და ცქრიალა ღვინოები შეისწავლეს. დადგინდა, რომ ზოგიერთი სახეობის ერთი ბოთლი სასმელი 60 გრამამდე შაქარს შეიცავს, რაც ერთ ცალ, მინანქრიან დონატში შაქრის შემცველობასაც კი აღემატება. ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის რეკომენდაციის თანახმად, ზრდასრულმა ადამიანმა, შეიძლება, ყოველდღიურად, მაქსიმუმ 30 გრამი შაქარი მიიღოს. ასე რომ, დღიური ლიმიტის მისაღწევად, საკმარისია, ადამიანმა ორი ჭიქა ღვინო მიირთვას.

ციხეში კატა ჩასვეს

კატა, სახელად მიშკა, რომელიც აშშ-ში, ქალაქ ბელვიუს მცხოვრებს ეკუთვნის, ციხეში მოხვდა გარეთ მავნე „ბოდიალისთვის“ და სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანეს. პატრონს ადვოკატის აყვანა დასჭირდა, საყვარელი ცხოველი რომ გადაერჩინა. ამგვარი სიტუაცია კი ადგილობრივი კანონის გამო შეიქმნა, რომელიც ქალაქის ხელისუფლებამ 2014 წელს მიიღო. ამ კანონის მიხედვით, შინაურ ცხოველებს ეკრძალებათ დასახლებულ პუნქტებში თავისუფლად გადაადგილება. კატა, რომელიც თავისი სურვილისამებრ დასეირნობდა, არაერთხელ მოხვდა თვალში ადგილობრივ უფლებადამცველ მილერს, რომელიც ცხოველების მაკონტროლებელ განყოფილებაში მუშაობს. კატის პატრონს მან რამდენჯერმე ჯარიმა გამოუწერა, მერე კი ქალაქიდან კატის გაძევების გადაწყვეტილება მიიღო. მის ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ თუკი ცხოველი უკან დაბრუნდებოდა, მას სიკვდილი ელოდა. აღმოჩნდა, რომ ეს „ძალიან აგრესიული“ კატა სწორედ ამ უფლებადამცველის მეზობელი იყო და საჩივრებსაც მასზე თავად მილერი წერდა. ცხოველის პატრონი იმედოვნებს, რომ სასამართლო პროცესს მოიგებს და კატა მასთან დარჩება. პროცესი ჯერჯერობით კვლავ გრძელდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.